„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ., № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღია არის ყოველ დღე 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 30. კვირა, 14 აგვისტო 1905 წლისა. № 30.

შინაარსი: როგორ წარმოიშვა ავტონომიის იდეა, გ. —სა.—პაწია შენიშვნა, ან—სა.—მთავრობის განკარგულება.—სხვა და სხვა ამბები.—დაბა სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—ფელეტონის მაგიერი, თაგუნასი.—კიდევ გაკვრით, სან-დონისა.—თანამედროვე კითხვები, (თარგმანი) ვ. ბრაკესი.—ცოტა რამ საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის ისტორიიდან, (თარგმანი), ზ. ჩიჩუასი.—ბურჟუა და პროლეტარი (გაგრძელება).—ერთხელ კიდევ ბ. თ. სახოკიასა და К°-ს შესახებ, ბენია ჩხიკვიშვილისა.—წერილები რედაქციის მიმართ.

როგორ წარმოიშვა ავტონომიის იდეა.

თუ მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე ჭეშმარიტია, მაშინ ყოველგვარი პოლიტიკური, ფილოსოფიური, იურიდიული და საზოგადოთ იდეოლოგიური მოვლენის მიზეზი და ახსნა საზოგადოების ქონებრივ ურთიერთობაში ანუ ეკონომიურ სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ, რომელიც თავის მხრით დამოკიდებულია საწარმოო ძალთა განვითარებისაგან. ავტონომიის იდეაც, რომელიც ჩვენი პატარა კუთხის ლიტერატურაში დაიბადა ეკუთვნის იმ სფერას საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელსაც მარქსიზმი იდეოლოგიურ ზედნაშენს უწოდებს. ჩვენ თამამათ შეგვიძლია ამ საზოგადოებრივი მოვლენის ანალიზის დროს ვიხელმძღვანელით ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი იდეებით, მიტომ რომ ჯერჯერობით ვერც ბურჟუაზიულმა კრიტიკოსებმა და ვერც მათ ამყოლ რევიზიონისტებმა ვერ შესძლეს შეერყიათ მისი მტკიცე ნიადაგი და მით უმეტეს წამოეყენებიათ ისეთი სოციოლოგიური თეორია, რომელსაც საგრძნობელი კონკურენციის გაწევა შესძლებოდა მისთვის. პირიქით უკანასკნელმა გამოკვლევებმა საზოგადოებრივ მეცნიერებაში ახალ-ახალი დამამტკიცებელი საბუთები შემატა ისტორიულ მატერიალიზმს და მისი გავლენა კიდევ უფრო გაზარდა.

აი, ამ თეორიის ერთი დებულება ამბობს, რომ ყოველგვარი პოლიტიკური მოთხოვნილების ხასიათი, მნიშველობა და ისტორიული ბედი დამოკიდებულია იმ კლასზე ან საზოგადოებრივ ჯგუფზე, რომელმაც ის წამოაყენა, რომ პოლიტიკური პროგრამმა წარმავალი და უტოპიურია მაშინ, როცა ის ან სულ არაა შეკავშირებული რომელიმე საზოგადოებრივი კლასის ინტერესებთან, ან და ისეთი ჯგუფის ინტერესებს ეგუება რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე არავითარი გავლენა არა აქვს და არც ექნება. რომ ის რეაქციონურია, როცა მას წამოაყენებს ისეთი კლასი ან საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც სჩაგრავს და თანდათან სპობს არსებული ეკონომიური ურთიერთობა და კონსერვატიულია (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მაშინ, როცა ის შეკავშირებულია გაბატონებული კლასის და ჯგუფების ინტერესებთან. მხოლოთ ერთ შემთხვევაშია ის ჭეშმარიტათ პროგრესიული: ეს მაშინ როცა მოთხოვნა წარმოშვა იმ კლასმა, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ წესწყობილებაში მომავალი ეკონომიური ურთიერთობის (прозводствен. отношенія) პრინციპის მატარებლათ გამოდის ხოლო როცა მისი ცხოვრებაში გატარება არსებული წესების სიკვდილს აახლოვებს. საკითხავია რომელ კატეგორიას ეკუთვნის ავტონომიის მოთხოვნა? არსებობს თუ არა ისეთი კლასი საქართველოში რომელსაც შეუძლია ამ მოთხოვნის შესისხლხორცება, თუ ის სამუდამოთ უნდა დარჩეს პატარა ნტელიგენტური ჯგუფის მიუწდომელ, ტკბილ ოცნებათ? დიაღ, საქართველოში მოინახება ისეთი კლასი, რომლისათვისაც ხელვაყრელია ჩვენი ქვეყნის ავტონომიური მართვა-გამგეობა და ეს კლასი ადრე თუ გვიან ზურგს გაუმაგრებს იმ ჯგუფს, რომელსაც დღეს გულისთქმით აღგზნებული და გამოურკვეველი (ხშირათ უნიადაგო) იდეალებით გამსჭვალული პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა. ეს გახლავს წვრილი ბურჟუაზია—კლასი ცვლებადი, ორპირი ბუნების მქონე, ხშირათ კონსერვატიული, ხშირათ რევოლიუციონური, უმეტეს ნაწილათ კი რეაქციონური.

რაში მდგომარეობს ეკონომიური პროგრესი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რაში გამოიხატება საწარმოო ძალთა განვითარება? საწარმოო ძალთა ზრდა-განვითარების გამომხატველი თანამეგროვე საზოგადოებაში კაპიტალისტური საკუთრების გამარჯვებაა ინდივიდუალურ და ფეოდალურ საკუთრებაზე. გამარჯვებული კაპიტალი არღვევს ინდივიდუალურ საკუთრებას ანუ ისეთ ქონებრივ ურთიერთობას, რომელშიაც მწარმოებელი შრომის საშუალებათა მესაკუთრეთ ითვლება, რომელშიაც წარმოების ობიექტივური და სუბიექტივური ფაქტორები ერთი მეორეს დაშორებული არ არიან. მეორე მხრით იგივე კაპიტალი არღვევს და თავის გემოზე ქმნის ფეოდალურ საკუთრებას ე. ი. იმ ეკონომიურ დამოკიდებულებას, სადაც სუბიექტიურ და ობიექტიურ მომენტს შორის საზოგადოებრივი განსხვავება გამქრალია და ორივე ფეოდალის კერძო საკუთრებას შეადგენს. ხელოსანის და ფეოდალის ადგილს იკავებს თანამედროვე კაპიტალისტი, ახალ ეკონომიურ პრინციპის მატარებელი, რომელიც ერთი-მეორეს აშორებს მწარმოებელს და საწარმოო აარაღებს, მათ შორის სდგება და უკანასკნელს ისაკუთრებს, ანთავისუფლებს ყმებს და ამ გვარათ ბატონყმურ საკუთრებას ძირს უთხრის. აჰიტომ, როგორც ხელოსანი და საზოგადოთ წვრილი ბურჟუა, ისე თავადაზნაურობა თანამედროვე საზოგადოებაში რეაქციონურ იდეოლოგიის მატარებლათ გამოდიან: როგორც ერთი, ისე მეორე სახელოვან წარსულში ეძებს ხსნას უღმობელ კაპიტალისაგან; როგორც ერთი, ისე მეორე ტკბილ წარსულის მოგონებაში ჰპოვებს შვებას აწინდელი ტკივილებისაგან. ამიტომ როგორც პირველი, ისე მეორე ისეთ პოლიტიკურ პროგრამას იჭუშაებს, რომელიც ავსილია რეაქციონური იღლიუზიებით და საზოგადოთ ისეთი მოთხოვნებით, რომელიც ლამობს არსებული კაპიტალისტური დამოკიდებულების მოსპობას და მის ადგილზე ყოფილი წვრილ ბურჟუაზიული და ფეოდალური ქონებრივი

ურთიერთობის გამეფებას. ასეთია საზოგადო ტენდენცია წვრილ ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის, ასეთია მათი ბუნება ჩვენშიც.

სანამ საქართველოში ნაციონალური კაპიტალი დაიბადებოდა, შემოიჭრა უცხოეთის კაპიტალი და ჩვენი კუთხის რევოლიუციონურ გარდაქმნას შეუდგა. ჰქრება რაც კი ტრადიციონური და თავისებურია, მის ადგილზე ბატონდება ახალი, ევროპიული ფორმები. იღუპება ქართველი თავადაზნაურების ლატიფუნდიები, იღუპება ქართველი ხელოსანი, ქართველი სოფელი ჰკარგავს თავის მამაპაპურ ელფერს: მათს ადგილზე ბატონდება უცხოეთის, რუსეთის და სომხეთის კაპიტალი. მოასწავებს თუ არა ეს ნაციონალურ გადაგვარებას? სულაც არა. საშუალებებს თავის მიზნის მისაღწევათ უცხოეთის კაპიტალი თავის გარშემო ეძებს და საქართველოშივე პოულობს. ეს ძალაუნებურათ ზრდის და ანვითარებს ქართველ პროლეტარიატს, ქართველ ინტელიგენციას, ქართულ პრესას, საზოგადოთ იმას, რასაც ნაციონალურ კულტურას ეძახიან. ის შლის პარტიკულიარულ საზღვრებს ჩვენში და ერთი და განუყოფელი საქართველოს იდეას ამტკიცებს. ძველი, აზიური ივერია ისტორიის უფსკრულში იკარგება, მის ადგილს იკავებს ახალი, ევროპიული, კაპიტალისტური საქართველო. ამას გარდა უცხოელი კაპიტალის განვითარება ხელს არ უშლის ნაციონალური კაპიტალის წარმოშობას და განვითარებას: პირიქით ის სპობს ძველებურ გონებრივ ვიწროობას და შორს მჭვრეტელობას და ენერგიას ანვითარებს. კაპიტალისტური საზოგადოების შვილი მუდმივ მოძრაობს, მუდმივ მოგზაურობს, ერთს ადგილზე ვერ ისვენებს. ჩვენშიაც ვითარდება ის, რასაც კაპიტალისტებურ უნარს უწოდებენ. შორეული მანჯურიის დაბა-ქალაქებში ახლა ჩვენი თანამემამულეები „პირველყოფილ აკუმულაციას“ ახდენენ და მოსალოდნელია, რომ დიდი უმრავლესობა თავის მომავალ „მოღვაწეობის“ ცენტრს „საყვარელ სამშობლოში“ გადმოიტანს.

შეურაცყოფილი და დაჩაგრული ამ განვითარების მიერ ჩვენი წვრილი ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა არის. როგორ უნდა დაიცვან იმათ თავის საკუთრება? თუ საქართველო იმ გზას გაჰყვა, რომელზედაც ახლა ადგია, მათი დაღუპვა აუცილებელია. საჭიროა იარაღი ამ მსვლელობის შესაფერხებლათ; ისინი ეძებენ პოლიტიკურ სფერაში ასეთს იარაღს: ეს იარაღი ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომიაა. მართალია საქართველოს რომ ევოლიუციის მხრით შევხედოთ ის უკვე კაპიტალისტური ქვეყანაა, მაგრამ თუ მის არსებულ, სტატიკურ მდგომარეობას მივიღებთ სახეში, უეჭველათ, ის წვრილ ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის ტიპიურ სამეფოთ გვეჩვენება. ამიტომ საჭიროა მისი მომავალი განვითარების შეჩერება და ერთ წერტილზე გაყინვა: მაშინ წვრილ ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის ბატონობა უზრუნველყოფილია და წარსულის დაბრუნებაც შესაძლებელი ხდება, წარსული ეკონომიურ წეს-წყობილების გამოცოცხლება პოლიტიკური ძალის საშუალებით. თუ წვრილ ბურჟუაზიამ ავტონომიური მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდო, ის ეცდება კიდეც ეს ძალა თავის კლასობრივი ინტერესების საკეთილდღეოთ გამოიყენოს. ის თავად-აზნაურობასთან ერთათ შეეცდება სოციალრევოლიუციონური განვითარების შეჩერებას სხვა და სხვა რეაქციონური კანონებით. ბაჟების და ამკრძალველი კანონების საშუალებით ის შეეცდება განდევნოს საქართველოს ბაზრიდან ტეხნიკურათ უფრო ძლიერი კაპიტალი და ქართველი მხმარებელის ზურგზე თავისი ბედნიერება დაამყაროს. ამგვარათ ის შებღალავს წვრილი გლეხობის არსებით ინტერესებსაც, ვინ შეებრძოლება მის რეაქციონურ ზომებს ავტონომიურ საქართველოში. ქართველი გმირული პროლეტარიატი! მაგრამ ის ჯერ უმცირესობაშია და ამიტომ მის მისწრაფებას გაბოროტებული რეაქციონური ძალები ადვილათ ჩაახშობენ.

ამ გვარათ მზადება ჩვენს წვრილ ბურჟუაზიაში და თავადაზნაურობაში ავტონომიის იდეის ნიადაგი. თუ უცხოეთში წარსულის ეს ორი ბნელი აჩრდილი გამარჯვებულ კაპიტალიზმს ტრადიციის, ისტორიის და სხვა ამ გვარი, არქივიდან ამოღებული ცნების სახელით ებრძვის, აქ ჩვენში ის მზადაა შეიარაღდეს უცხოეთიდან გადმოტორტმანებულ დამღუპველ ძალებთან ბრძოლაში ნაციონალური იდეით და ის პროგრესს დაუპირდაპიროს. იდეის ნიადაგი მომზადდა, ვინ შეიმუშავა თვით იდეაც? როცა ცხოვრებაში მომწიფდება ეკონომიური პირობები რაიმე იდეის წარმოსაშობათ, როცა ამ იდეის ელემენტები უკვე გაბნეულია რომელიმე საზოგადოებრივ კლასში, ეს კლასი წამოაყენებს თავის იდეოლოგებს, რომელიც ამ იდეას შეამუშავებენ და თეორეტიულათ დაასაბუთებენ. იდეოლოგების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ თავი მოუყაროს შეგნების ელემენტებს, გამოცდილებას, იდუმალ და ცხად სურვილებს და მისწრაფებებს, რომელიც ამა თუ იმ კლასში უხვათაა გაბნეული. სისტემატიურათ დაალაგოს ეს მასალა და ამ გვარათ გარკვეული იდეოლოგია და პრაქტიკულ მოქმედების პროგრამმა შეიმუშაოს. შემდეგ კლასი ორგანიულათ ისისხლხორცებს მისი იდეოლოგების მიერ შემუშავებულ პროგრამიდან იმ ელემენტებს, რომელიც მის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას შეესაბამება, უკუაგდებს იმას, რაც მისთვის უცხოა, რაც სხვა ნიადაგიდანაა გადმოტანილი. იმ ორმა კლასმაც, რომლის ეკონომიურ ინტერესებს ზევით ანალიზი ვუყავით, წარმოშვა ჯგუფი იდეოლოგებისა, ჯგუფი რომლის გარშემო ახლო მომავალში ალბათ ორი პარტია აშენდება; ამ ინტელიგენტურ ჯგუფში სხვა და სხვა მიმართულება, ორი ტენდეცია დღესაც ნათლათ გამოირკვა: მიმართულება თავად-აზნაურულ-კლერიკალური და მიმართულება წვრილი ბურჟუაზიული („ხალხური“). პირველი სუსტია, მისი მომავალი ზრდა განვითარება საეჭვოალია. მეორეს მომავალი უფრო „ბრწყინვალე ბედ-ილბალს“ უქადის: მისი გავლენა დღესაც საგრძნობელია, მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში დღითი დღე იზრდება; „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“, აი ორი ცენტრი, რომლის გარშემო ტრიალებს ჯერ ჯეროვნით ეს ჯგუფი. რა განსხვავებაა ამ ორ მიმართულებას შორის? დემოკრატიზმი და სოციალისტური ფრაზეოლოგია —აი ორი დამახასიათებელი თვისება რომელიც მეორე მიმართულებას განსაკუთრებულ დაღს აჩენს. მისი დემოკრატიზმი ჰეშმარიტია. ჰეშმარიტია მიტომ, რომ ის კლასი, რომლის წარმომადგენელთაც უნდა ჩავთვალოთ ეს ჯგუფი—წვრილი ბურჟუაზია საჭიროებს ფართო პოლიტიკურ თავისუფლებაში და სახელმწიფო მეურნეობის დემოკრატიზაციაში თითქმის ისყვე, როგორც პროლეტარი. ის თავგამოდებით იბრძვის სიტყვის, ბეჭდვის კრების და სხვა დემოკრატიული თავისუფლებისათვის, საყოველთაო ხმის უფლებისთვის, პროგრესიული გადასახადების დაწესებისთვის. ბიუროკრატიის თვითნებობა, ხალხის ფულის უთავბოლო ფლანგვა მას მძიმე ტვირთათ აწობა კისერზე; მილიტარიზმის და საზოგადოთ სახელმწიფო ხარჯების ზრდა მას სულს უხუთავს და მის ისეთაც მოკლე წარმოების სრულიათ ანადგურებს. ამ არსებითი მოთხოვნილებისთვის ის უშიშრათ იბრძოლებს.

ჩვენი ქვეყნის და რუსეთის კონკრეტულ პირობებში ის გულწრფელი რევოლიუციონერია. ამიტომ ის ადვილათ შეითვისებს იმ ფართო დემოკრატიულ პროგრამმას, რომელსაც

ჩვენი ფედერალისტები წამოაყენებენ. სულ სხვაა სოციალისტური ილლიუზიები, რომელშიაც ახვევს წვრილ-ბურჟუაზიულ პროგრამას ფედერალისტთა ჯგუფი. ეს ილლიუზიები არ გამოდინარობენ ამ კლასის ეკონომიური მდგომარეობიდან: ისინი სულ სხვა ატმოსფერის შვილები არიან. მათი შეტანა წვრილ-ბურჟუაზიულ პროგრამაში არღვევს უკანასკნელის ჰარმონიას და მთლიანობას. რა ნიადაგზე აღმოცენდენ ისინი? საქმე იმაშია რომ სხვა და სხვა პირობის გამო, რომლის განხილვას აქ არ შევუდგებით, ჩვენი პროლეტარიატი უწინ გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე ვიდრე სხვა რომელიმე კლასი ან ჯგუფი; გამოვიდა უკვე გარკვეული კოლექტივისტური შეგნებით შეიარაღებული. რამდენიმე წლის განმავლობაში არსათ ჩანდა ჩვენში ისეთი ძალა. რომელსაც შეეძლო გაჯიბრებოდა შეკავშირებულ და შეგნებულ პროლეტარიატს სოციალურ პოლიტიკურ მნიშვნელობაში. ამიტომ არაა გასაკვირალი, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები, მომავალი პარტიების წინამორბედნი, სწორეთ იმ კოლექტივისტურ წამოსასხამს იცვამენ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოუპოვოს მათ ამ ჯერ ჯეროვნით ერთათ ერთ საგრძნობელ საზოგადოებრივ ფაქტორზე. ასეთია ფედერალისტების ფსიხიკაც. მაგრამ შორს არ არის გამოღვიძებული ბურჟუა, ის მოდის და ჰხედავს რიდე აფარებულ ქანდაკებას მისი იდეოლოგების მიერ აგებულს. ის უკუაგდებს პირბადეს. სოციალისტურ ილუზიებს და თავის გატიტვლებულ პოლეტიკურ მისწრაფებებს პროლეტარიატს აშკარათ დაუპირდაპირებს.

გ.

—

P. S. მე მგონია ჩემი სტატიის შინაარსი პასუხს იძლევა იმ კითხვაზედაც თუ რატომ უნდა იყოს პროლეტარიატის პარტია საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგი. კიდევ ერთი მოსაზრება: ის მართლაც ქსაქსავს და ასუსტებს ინტერ-ნაციონალურ მუშათა არმიის ძალას. ვიცი, ჩვენი მოწინააღმდეგენი აქ მოიყვანენ შვეიცარის მაგალითს, რომელიც 22 ავტონომიური კანტონისგან შესდგება და, მათის აზრით, სულაც არ ასუსტებს იქაური პროლეტარიატის ძალას. ეს სრული შეცდომაა; ჩვენი ფედერალისტების სავალალოთ მათი მაგალითები დასავლეთი ევროპის ცხოვრებიდან და ლიტერატურიდან უმეტეს ნაწილათ ვერ აღწევენ მიზანს. ასეა აქაც. საქმე იმაშია,რომ მიუხედავათ შვეიცარიის ყოველმხრივი განვითარებისა, მიუხედავათ იმისა რომ კაპიტალიზმიც და დემოკრატიაც აქ საკმაოთ მაღალ წერტილზე სდგას—ამ ქვეყნის პროლეტარიატი ბევრათ უფრო სუსტია, მას ბევრათ ნაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე მაგ. იტალიის, საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატს და ერთ მთავარ მიზეზათ ამ ჩამორჩენისა შვეიცარიის უკიდურესი დეცენტრალიზაცია უნდა მივიჩნიოთ. იქაურ მუშას თვალწინ უდგას არა კლასობრივი ცენტრალისტური სახელმწიფო, თავის ძლიერი პოლიტიკური იარაღებით (ჯარი, ფლოტი, ბიუჯეტი რკინის გზა და სხვ.), არამედ პატარა თვითმართველი კანტონი, სადაც ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა საკმაოთ მიფუჩეჩებულია. ის ვერ ხედავს შეკავშირებულ ბურჟუაზიულ კლასს, რომელიც სარგებლობს თანამედროვე სახელმწიფოს უზარმაზარი იარაღებით, მის წინ სდგას ადგილობრივ კაპიტალისტთა ჯგუფი, რომელიც თვალზე ეფარება და კლასის დანახვას უშლის. ერთი მტკაველა კანტონის პოლიტიკური ძალა ძლიერ უმნიშვნელოა, ამიტომ პოლიტიკური ბრძოლაც ჰკარგავს მის თვალში მნიშვნელობას. მუშას ეკარგება პარლამენტარული და საზოგადოთ ფართო კლასობრივი ბრძოლის ხალისი და ის ვიწრო პროფესიონალისტი ხდება. ასეთი მოვლენა სასურველია ბურჟუაზიისათვის, მაგრამ ის დამღუპველია პროლეტარიატისთვის. სოციალური რევოლუციის სახელით შეგნებული პროლეტარიატი უარჰყოფს ასეთს პოლიტიკურს დეცენტრალიზაციას.

კაფია შენიშვნა.

სწორეთ შეგებრალებათ ,,ივერია-ცნ. ფურ.'' მწერლები, როცა მათ წერილებს კითხულობთ ჩვენი პარტიის შესახებ. ეტყობათ, მადა დიდი აქვთ—რამე ნაირათ გვავნონ, მარა როგორ, რა გზით—ეს არ იციან და თავისავე სიტყვებით მოქსოვილ აბლაბუდაში საშინლათ იხლართებიან. ,,ცნ. ფურცელზე'' არას ვიტყვით, მისი ,,საქმენი საგმირონი'' კაიხანია ცნობილია და მის მიერ ტალახის სროლა არ ახალია, ძველია. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ,,განახლებულ ივერიას''. რომელმაც თავის სახათაბალოთ ჩვენთან კამათი ატეხა და თავის ძველ სარჩულს ,,განახლებულათ'' ვერ ამცნევს. მან 135 ნომერში ერთი ჩვენი გაზეთიდან ციტატი მოიყვანა და თან ისეთი წინა და უკანასიტყვაობა მიაბ-მოაბა რომ უნებლიეთ მოგაგონდებოდათ პოეტის სიტყვები: რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერიაო. მაგრამ ამ ,,წიგნის მომწერმა'' ერთი მოჩმახვით არ დაკმაყოფილდა და 140 ნომერში მეორეც მიაყოლა. ახლა აქ გადაჭრით სწერს: ერთმა ,,მოგზაურისავე'' ორგანომ ,,დაუფარავათ გამოაცხადა ის, რაც ბავშვისათვისაც კი ცხადი და ნათელია—რომ ის ჯგუფებიო, რომელთა ინტერეს **იცავს** ჩვენი პარტია ქართველი ერის **უმცირესობას** შეადგენსო'', ახლა ვკითხოთ ამის დამწერს: სად ან როდის გამოაცხადა ეს თქვენი ზღაპარი ჩვენმა ორგანომ? ან რომელი პარტია აცხადებდა უმცირესობის ინტერესს ვიცავო? თუ კი თქვენ, ორ-კაც ნახევარი, იძახით—ერის უმრავლესობას ვემსახურებითო, ნუ თუ მუშათა პარტიას არ აქვს ამის უფლება? ამის მზგავსიც კი არაფერია საკმათო წერილში და საიდან გამოიგონა ეს ,,ივერიამ''—გასაშტერებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ .,ივერიამ'' თავის ჩვეულებისამებრ ის წერილი ვერ გაიგო და თავისი სურვილი სინამდვილეთ დასახა. იმ წერილში ბაასია პარტიის შედგენაზე, მის გაწმენდა-გაღრმავებაზე; პარტიაში მრავალთა შემოდის გლეხობა, როგორც დემოკრატები. საჭიროა კი შიგ სოციალ-დემოკრატები იყვენო და სხ. და აი, ეს ან-ბანი ,,ივერიას'' ჩინურათ ეკვენა და წარმოიდგინა, რა კი მუშათა პარტიაში, ერის უმრავლესობა ახლავე ვერ შევა, ველარც ამ უმრავლესობის ინტერესს დაიცავსო! საიდან სადაო, ბრძენნო ,,ივერიელნო''! მუშათა პარტიაში ჯერ არსად არ შესულა ერის უმრავლესობა, მარა ეს განა იმას ნიშნავს რომ მისი პროგრამა და მოღვაწეობა უმრავლესობას არ იცავს? განა სოციალიზმის დამყარება გლეხობისათვის სასარგებლო არ არის? განა ჩვენი უახლოესი მიზანი ერის დიდი უმრავლესობის ინტერესების დაცვას არ მოასწავებს? ჩვენს პარტიაში დღეს, რასაკვირველია, ყოველგან ერის უმცირესობაა, მარა რადგანაც მარტო ის იცავს უმრავლესობის ინტერესებს, ამიტომ ის თანდათან წევრთა და მომხრეთა რიცხვითაც უმრავლესობა ხდება და ასე კაცობრიობას უმზადებს ახალ მომავალს. ეს დღეს ყველამ იცის და თუ .,ივერიამ'' მაინც არ იცის, ამის მიზეზი უნდა იყოს ორში ერთი: ან განგებ აზრის დამახინჯება, ან ბავშვური გაუგებრობა.

ან.

მთავრობის განკარგულება.

ს.-პეტერბურგი. ოფიციალური. წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიათ რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ, რომ მტკიცე საფუძველი რუსეთის სახელმწიფოს აღორძინებისა იყო ერთობა მეფისა ხალხთან და ხალხისა—მეფესთან. თანხმობა და ურთიერთობა მეფესა და ხალხს შორის არის ის დიადი ზნეობრივი ძალა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში იფარავდა რუსეთს განსაცდელისა და უბედურებისაგან და რომელიც დღემდე თავდებია მისი ერთიანობისა, დამოუკიდებლობისა, ქონებრივ კეთილდღეობისა და მის სულიერ განვითარებისა აწმყოსა და მომავალში. ჯერ ისევ 1905 წლის 26 თებერვლის მანიფესტით მოვიწვიეთ ჩვენ ერთგულნი შვილნი სამშობლოსა მტკიცე ერთობის ჩამოსაგდებათ, სახელმწიფო წესწყობილების გასუმჯობესებლათ და ადგილობრივ ცხოვრებაში მტკიცე თაძარიგის დასამყარებლათ. მაშინვე ჩვენ ზრუნვას შეადგენდა ის აზრი, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი შეგვეთანხმებინა მთავრობასთან და აღმოგვეფხვრა ის უთანხმოება, რომელსაც ასეთი გამათახსირებელი ზედგავლენა ჰქონდა სახელმწიფო ცხოვრების მსვლელობაზე. ასეთივე აზრი ჰქონდათ ჩვენ წინაპრებს, თვითმპყრობელ მეფეთ.

ახლა კი დადგა ის დრო, როდესაც ჩვენ უნდა განვახორციელოთ კეთილ განზრახულებანი ჩვენთა წინაპართა და მოვუწოდოთ სრულიათ რუსეთის წარმომადგენელნი მუდმივ და ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის—სახელმწიფო კანონების შედგენაში. ამიტომ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა რიცხვს ჩვენ ვუმატებთ ერთ განსაკუთრებულ საკანონმდებლო დაწესებულებასაც—სახელმწიფო საბჭოს (Дума), რომელსაც ევალება შემუშავება საკანონმდებლო მოსაზრებათა და განხილვა სახელმწიფო შემოსავალ—გასავლის ანგარიშებისა. ვტოვებთ რა ხელ-უხლებლივ ძირითად კანონს რუსეთის იმპერიისას—თვითმპყრობელ მთავრობის არსებობის შესახებ, საკეთილოთ დავინახეთ, დავაარსოთ სახელმწიფო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ხალხის მიერ არჩეულნი და რომლის, ჩვენ მიერ უკვე დამტკიცებული დებულებაც, საერთოა მთელის რუსეთისათვის, გარდა იმ ცვლილებათა, რომელიც შეიძლება შეტანილ იქმნას ზოგიერთა, განსაკუთრებულ პირობებში მყოფ განაპირა ქვეყნებისათვის.

ის წესები რომელიც შეეხება დიდს სამთავროს ფინლიანდიის სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მიღებას საიმპერიო საკითხთა კერძოთ ამ ქვეყნის საკითხთა გადაწყვეტაში, ჩვენ მიერ კერძოთ იქნება გამოცხადებული. ამასთან ერთათ ჩვენ ვუბრძანეთ შინაგან საქმეთა მინისტრს დაუყოვნებლივ წარმოგვიდგინოს დასამტკიცებლათ წესები სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მისაღებათ არჩეულთა დებულების სისრულეში მოსაყვანათ, იმ ანგარიშით, რომ 50 გუბერნიისა დ- დონის ოლქის წარმომადგენელნი სახელმწიფო საბჭოში გამოცხადდნენ არა უგვიანეს 1906 წ. იანვრის პირველ ნახევრისა. ჩვენ სავსებით ვტოვებთ უფლებას სახელმწიფო საბჭოს მოქმედების გაუმჯობესობის შესახებ და როდესაც დრო, ან გარემოება მოითხოვს ამ გაუმჯობესებას, ან ქვეყნისა და დროის შესაფერ რაიმე სასიკეთო ცვლილებას—დაუყოვნებლივ და თავის დროზე გამოვაცხადებთ ჩვენს სურვილს ამ ცვლილებათა მოხდენის შესახებ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მთელის ხალხისა და მეფის ნდობით აღფურვილნი არჩეულნი,—მოწვეულნი დიად საქმის აღსასრულებლათ, იქმნებიან რა კეთილ-განწყობილნი სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებთან და მთავრობასთან—გაგვიწევენ სასარგებლო თანაშემწეობას საერთო დედის—რუსეთის სახელმწიფოს უზრუნველ საყოფლათ, განსაერთიანებლათ და ხალხში წესიერების და კეთილდღეობის დასამყარებლათ.

მოვიწოდებთ რა კურთხევას ღვთისას ჩვენ მიერ ახლათ დაარსებულ სახელმწიფო დაწესებულებაზე, ჩვენ მტკიცეთა გვწამს მოწყალება ღვთისა და გარდუვალობა დიადთა თავებედითობათა ისტორიისათა, განმზადებულთა ჩვენის საყვარელის სამშობლოისათვის განგებითა ღვთისათა.

მტკიცედა ვსასოებთ, რომ შეწევნითა ღვთისათა და ერთგულებითა შვილთა რუსეთისათა, სამშობლო ჩვენი ისეთივე ძლიერი, დიდებული და სახელოვანი დარჩება ბედისაგან მოვლინებულ მწარე განსაცდელთა შემდეგაც, როგორიც იგი იყო ათასის წლების განმავლობაში. ბრძანება ესე გამოცემულ არს პეტერგოფსა შინა, მეექვსესა დღესა აგვისტოსასა, წელსა შობიდგან ქრისტესა ათასს ცხრაას ხუთსა, ხოლო მეფობისა ჩვენისასა მეთერთმეტესა. დედანს მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია: **„ნიკოლოზი“.**

ბრძანება უმართებელესის სენატის მიმართ. ამა რიცხვით გამოცემულ მანიფესტით ვაუწყებთ რა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ დაარსებას სახელმწიფო საბჭოისას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ხალხის წარმომადგენელნი, ჩვენ უკვე დავამტკიცეთ დებულებანი არჩევნების შესახებ. გიგზავნით რა ამ დაკანონებათ მთელის თავისის დამატებებით, ვუბრძანებთ უმართებელესს სენატს დაუყოვნებლივ გამოაცხადოს იგი. გარდა ამისა, ვინაიდან მოსაზრებანი და წინადადებანი სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესობის შესახებ ამიერიდან ჯნდა მომხსენდეს ხოლმე ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარ სახელმწიფო საბჭოისაგან, ვუბრძანებ უმართებელესს სენატს ბრძანება მისდამი 1905 წლის 18 თებერვალს გამოცემული, ახლავე გააუქმოს“. დედანს მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია: **„ნიკოლოზი“.** პეტერგოფი, 6 აგვისტო 1905 წელი. (ტელეგრამმა).

სხვა და სხვა ამბები.

— ქუთაისში, როგორც გაზეთები იუწყებიან, ჯარსა და ხალხს შორის შეტაკება მომხდარა. ამბობენ რამოდენიმე კაცია მოკლულიო. („Н. О.“)

— თიანეთში და სოფ. ჩრდილიანთ კარში ადმინისტრაციის დასახმარებლათ ჯარები გაუგზავნიათ.

— გურიაში გაგზავნილი რაზმი ნამესტნიკის ბრძანებით დაიშალა და თავის ძველ ბინაზე ჯნდა დაბრუნდეს.

— სოფელ გრემში (კახეთშია) გლეხებს მიწის მზომელი არ მიუშვიათ. ამის გამო შეტაკება მომხდარა ყაზახ-რუსებთან და რამდენიმე კაცი მოუკლავთ.

—შვიდ აგვისტოს შუადღეზე, ქუთაისის ბულვარში მოუკლავთ ყაბარდოს პოლკის პოდპოლკოვნიკი ხოდეკი. მკვლელი ვერ დაუჭერიათ.

— 7 აგვისტოს სოფ. ქვემოჭალაში (ქართლი) მოუკლავთ მამასახლისი. მკვლელი ჯერ ვერ უპოვიათ.

— სოფელ ჰადის-ჯვარში (ქართლი) დიდი შეტაკება მოხდა ყაზახ-რუსებსა და ხალხს შორის. მოკლული 30 გლეხი აღმოჩენილა, ხოლო დაჭრილი ორმოცზე მეტი.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, თავად-აზნაურთა მილიცია კიდევ განაგრძობს თავის სახელოვან მოღვაწეობას.

— დასავლეთ საქართველოს სოფლის მასწავლებლებმა კარგა ხანია გადაწყვიტეს ამ პირობებში სწავლა არ დაიწყონ. ახლა გორის მაზრის მასწავლებლებსაც ამგვარივე დადგენილება მიუღიათ და პირველი ენკენისთვიდან სწავლის დაწყებას ალარ აპირებენ.

— როგორც „ც. ფ.“ ამბობს, ბათუმის საოლქო ადმინისტრაციას ზემო და ქვემო აჭაოაში დასარიგებლათ 150 თოფი გაუგზავნია.

— კავკასიის მთებში მცხოვრებ ინგუშებსა და ყაზახ-რუსებს შეტაკება მოსვლიათ. ინგუშები თავს დასხმიან ყაზახ-რუსებს და რამოდენიმე სოფელი აუკლიათ.

—კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო თიანეთის მაზრაში თუშებს 120 ცალი ბერდანის თოფი და 5000 პატრონა დაურიგონ თავის დასაცველათ.

— ჯევანშირისა და ჯებრაილის მაზრებში სომხებსა და თათრებს შორის გენხეთქილებამ ისევ იჩინა თავი და ხელ-ახლა დაიწყო ჟლეტა.

— სომხებისა სამღვდელოებამ და ბურჟუაზიამ სახელოვნათ იდღესასწაულა წართმეულ საეკლესიო ქონების დაბრუნება.

— ფოთში გურულ- მეგრელ მუშებ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, როგორც გვატყობინებენ, დასრულებულა მორიგებით. არტელში მომუშავეთ მიუღიათ სამუშაოზე სამოცი კაცი უმუშევართ დარჩენილ უკმაყოფილო მუშებისაგან.

დაბა-სოფლის ამბები

კახეთი. გარბის დღეები, კვირები და არსით ჩარს მემამულეებთან ჩვეულებრივ ჯრიალით მიმავალი ძნის ურმები. ადარ ისმის მათ კალთზე ორთველას ძახილი და შოლტის ტყლაშუნი, ბრახა მოსდის, ულმი სისხლი აწვება და არ სჯერა თავდს, რომ ასეთი საქმე დაემართა... რას წარმოიდგენდა, რომ მუდამ თვალ-წარში შემყურე მონა-მორჩილთან დღეს სახვეწარი საქმე გაუხდებოდა! დღემდის ალბათ ბევრმა ბრწყინვალეთაგანმა არც კი იცოდა რა მნიშვნელობა ჰქონდა, რა როლი ეკავა „ტექთას“ მათ ცხოვრებაში?... დიახ, გამწვავდა საქმე და მის დასაცხრობათ მიმართეს ქაზეკუცას. 30 იგდისს გაიგზავნენ ს. ახატელში ყაზახ-რუსები.

ასეთი ეთვით მიეგებოდა მათ ერთი წვრილი მოხელე ზოლიციისა, რ. მ. (ქართველია), თითქოს ქორწილში მიდიანო. ეს... რამდენიმე დღის სტუმრობის შემდეგ, როცა თავიანთი ნიშანი დასვეს სოფელს და შეუწუხებულმა გლეხებმა მიართვეს მემამულეებს თავიანთი ზურგით ნაოხარი, ხსნეს ქაზეკუცას; კარგა ბღობა ზარალი იგემეს ახატელმა გლეხებმა სტუმრების წუალობით, რომლებმაც მუსრი გაავლეს საქონელს (საკლავს), რაც მცირე დასაკლისი არ არის გლეხი-კაცისთვის.

ამ დღეებში ჩაუვნეს ყაზახები ს. ვანთაში. ეს-და აკლდა უმისოთაც წვალ-წუდებულ ხალხს.

2 მარტამდისთვის, დამის 12 საათზე თიანეთში გაიწვიეს თუქურმიშიდან ჯარი; 3-ში, შუადღის ორ საათზე გაიარა კიდევ თელავზე ორმა ესკადრონმა, თიანეთში მიმავალმა. მიზეზი ასეთი უცერად ჯარის გაწვევის,—ჯერ არ ვიცით.

მეოცე საუკუნე.

—

ს. შემოქმედი, (გურია). ყველამ იცის რომ გურიას უჭირავს სუკეთესო ადგილი ეხლანდელ მოძრაობაში, თავის შეგნებულებით და განვითარებით. მაგრამ ეთვლ განვითარებულ ხალხში იმეთება თურმე ცრუ-მორწმუნეები, რომლის გასწორება ძლიერ ძნელია. მაგალითს გვიჩვენებს ს. შემოქმედი. ს. შემოქმედი ითვლება სუკეთესო სოფლათ მთელ გურიაში, მაგრამ აქაც იჩინა ჯიბემა თავი.

ამას წინათ ს. გურიანთაში მისულა ერთი ჭაბუკი, რომელსაც ექიმათ მოქონდა თავი. თითო კაშინჯეში ახდევინებდა 20 კაპ., მაგრამ წამალს (აფთიაქი და ხრიტიზორი თან ახლავს) მამასისხლათ უიდა. ხალხი ვერ ეთავდა წამლის ფულს და როცა კაიგეს მისი სიყალბე, მაშინვე გაძევეს. გურიანთიდან ქ. ბათუმში წავიდა და იქიდან აგენტები გამოგზავნა შემოქმედში, რომლებმაც ხმა გავრცელეს რომ სუკეთესო ექიმი არის ბათუმში რომელიც ითვათ იექიმებს თუ დაიბარებთო. მოწვეულ იქმნა ექიმი. გასაშინჯი ნიხრი დაადგინა 20 კაპ. ხალხმა რომ გაიგო ასეთი ითვი ექიმობა ეთვლ მახლობელ სოფლებიდან მიაწყდა მას. აქაც წამალს მამა-სისხლათ იიდის. 20 კაპეიკიან წამალში*), მანეთზე მეტს ახდევინებს. რამდენიმე ემწვალებს ეწვი შეეხარა ამ მძარცველ ექიმზე და დაწერეს გამოკითხვა. გამოკითხვის დროს გამოირკვა, რომ წანეთ „ზოვრად“ ეთვლ ექიმთან და იქ „შეუსწავლია“ ექიმობა. შემდეგ თქვა რომ ექიმ გომართლის ნაამხანაგარი ვარო, მე და გომართალი სუკეთესო ექიმები ვართ, ერთი ამთავრებს კიდევ სწავლას და ის ჩვენზე უკეთესი იქნებაო, მაგრამ როცა გომართალს შეეკითხენ, სიცრუე გამოდგა. ეხლა კარგათ ვიცნით ჩვენი მატყუარა ექიმი, მაგრამ ვინ თქმა ყის შეუძლია, რამდენს იგივე აგენტები, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადეს, შეიარაღებული ახლავს ჩვენ მატყუარა ექიმს**). ავათმყოფნი მაინც მიდიან მასთან. ასეთ ძარცვა გადუკეთ სამ დღეში 420 მან. იდრო, ბათუმში ეკვარა დაეწერა, ვიდაც ქალზე და ისეც ამობრძანდა თავის კნეინით. დრო არჩევენც კარგი სცოდნია ჩვენს ექიმს. ეხლა თხილობაა სოფელში და თხილის კანაეედან შემოსული ფული მთლათ ამ მატყუარა ექიმს ჩაუვარეს ჯიბეში, რამდენიმეჯერ იდრეს ამის შესახებ კითხვა, მაგრამ შეიარაღებული აგენტების წუალობით ვერაფერი გადაწყვიტეს. მისი მორჩენილი ადამიანი ჯერ არავის არ უნახავს, თუმცა დღეში ასობით შინჯავს ავათმყოფებს.

დრო, შემოქმედელებმა იცნან თავის მძარცველი და საკადრისი ბასუხი გასცენ.

ალე.

—

გაგრა. რამდენიმე კვირის წინეთ შეიკრიბენ გაგრაში და მის მიდამოებში მცხოვრები იმერლები, გურულები და მეგრელები, შეეთვიეს ერთმანეთს შესწუვიტონ ბიუროკრატიასთან ეთვლგვარი კავშირი, მართონ თავისი შინაური საქმეები ამორჩეული ბირების საშვალებით. ხალხის შეგნებამ დიდად საგონებელში ჩაიგდო როგორც ბიუროკრატია, ისე ზოგიერთი აქაური მემამულეები, რომელთა თვითნებობას სახღვარი არა ჰქონდა: ახლა ისე თაკისუფლათ ვეღარ მოქმედებენ და უველა თავის საქციელს წინათვე უკვირდებიან.

გაგრიდან 20 ვერსტის მანძილზე მდებარე სოფ. კალდახორის მცხოვრებლებმა—აბხაზებმა რომ გაიგეს ასეთი კეთილი შედეგი მათი მეზობლების გათვითცნობიერებისა, მოინდომეს მათთან შეერთება და შეეცდა, რომ მამავალში მოსპობენ ქურდობას და უველგვარ უთანხმოებას ერთმანეთში. მაგრამ იქაურმა ჯაშუშებმა წინათვე შემტყობინეს გუდაუთის ბოქაულს, რომელიც აბხაზებსა და მეგრელებს შორის მოსაგვარებლათ დანიშნულ დღეს, 22 იგდისს, კალდახორაში გაჩნდა 30 ყაზახი-რუსებით და არავერი საშვალება არ დაზოგა საქმის ჩასაშლელათ. მან თავისი მოქმედებით და სიტ-

*) გურიანთაში გაუშინჯავთ მისი მიცემული წამლები. ერთისთვის ოდეკოლონი მიუცია ოთხ მანეთად და მეორისთვის კუპის გასაწმენდი ლიმონათი 7 მანეთათ.

**) ის აბაზები, რომლებსაც გაშინჯვაში ღებულობს, აგენტებს მიაქვს და წამლებიდან შემოსული ფულები კი მატყუარა ექიმს რჩება მთლათ.

უვებით უკიდურესი ზიზღი ადუძრა შეკრებილ ხალხს როგორც თავისადმი, ისე სახოგადოთ ბიუროკრატიული რეჟიმისადმი, რომელსაც ასე უწუალოთ შეეწიროებული ყავს სიწყალი ახპხაზე. 700-მდე ახპხაზი და მეტრელი შეკრებილი იყო ეკლესიის გალავანში დაკარგული ხარის თაობაზე და სახოგადოთ ქურდობის მოსპობაზე მოსალაპარაკებლათ. გამოცხადდა თუ არა ბ. გაგრილოვი, (გუდაუთის ბოქაული) შეკრებილ ხალხში, ბირველათ უკმეხი სიტყვებით მიმართათ ახპხაზებს: რა უფლება გქონდათ თქვენ ჩემ ნება დაურთველათ შეკრებისა, და მამასახლისი დაგბეტვინა. მერე მიუბრუნდა მეკრელებს და უშვერად მოთხოვა მათ მაშინვე უკან წასულიყვენ გაგრაში, რადგან მათ გუბერნიის სახლვარზე გადმოსვლის ნება არა ქონდათ (გაგრა ჩერნომორიის გუბერნიაშია, გადახორა კი სოხუმის ოკრუგში). როცა შეხედა, რომ მეკრელები მაგრათ იყვენ და ადგილიდან არ იძვროდენ, უბრძანა ახპხაზებს მეკრელებისთვის ცემინათ, რადგან უკანასკნელნი რიცხვით მათზე ნაკლები იყვენ. მაგრამ დახეთ ბედის სამუხთლეს! აქ არ გასწერა ბიუროკრატიის ცნობილმა ტაქტიკამ. რომ ადრათერმა გასწერა, მიუბრუნდა ადგილობრივ ოვადებს ემუხვრების და ინდაბას და ერთ მათგანს ასეთი სიტყვებით მიმართა: ,,შე ბებერო, ხვალ თუ ზეგ უნდა მოკვდე და შენც ასეთ სიქმეს ჩადიხარ?'' ბევრი უბედობის შემდეგ ის იძულებული იყო ნება დაერთო ხალხისთვის ქურდობაზე მოლაპარაკება დაემთავრებინათ. თვითონ კი წავიდა თავის მეგობარ თ. ნახარბეი ინდაბასთან, სადაც მას ნადიმით და დიდი ბატივისცემით დახვდენ. ხალხმა მხოლოთ ქურდობაზე მოილაპარაკა, უმთავრესი სიქმე კი, კ. ი. თავის ჯირ-ვარამზე და შეკრებულ მდგომარეობაზე მოლაპარაკება, ჯაშუშების წუხლობით ახლახან შეუსრულებელი დარჩა.

ი. —ი.

—

სხვავა, (რაჭის მაზრა). სერთო მოძრაობას არც ჩვენი სოფელი ჩამორჩა. კვირას, 25 ივლისს, აქაური ათისთავების თაოსნობით ხალხმა სოფლის კანცელარიასთან მოიყარა თავი დღევანდელ სჯირ-ბოროტო კითხვებზე მოსალაპარაკებლათ. შეეხენ დღევანდელ რუსეთის მდგომარეობას, ომს და სხვ. ერთმა ორატორმა კლასთა ბრძოლის ბრინციბი წაამძღვარა და მასზე მტკიცეთ დაურწმუნებლმა დასსურათა კლასთა და წოდებათა ურთიერთობა. ხალხი სულგანაბული უურს უგდებდა და ძალიერ კმაყოფილი დარჩა. შემდეგ შეეხენ ადგილობრივ კითხვებს. სხვათა შორის ერთი ,,დაბოიკოტებული'' ახნაურის იაგორ მდივნიშვილის სქმე გაარჩიეს. სქმე ასე ყოფილა. 15 ივლისს, გზის სკეთებლათ გასული მთელი სოფელი, გლეხებიც და ახნაურებიც. იაგორ მდივნიშვილის შვილს—კოლას ეს სცოდნია, მაგრამ გზაში არ გამოსულა. სადმოზე ხალხი შეუდგა ამ ბირების გასამართლებს, ვინც გზის სკეთებლათ არ გამოვიდა; მდივნიშვილის დასჯა ამ დღეს ვერ მოასწრეს. 17-ს განაგრძეს გზის კეთება და თუმცა მდივნიშვილი ამ დღეს დაესწრო საერთო მუშაობაზე, მაგრამ ხალხმა მაინც გადაწყვიტა მისი დასჯა წინადღეს დაუსწრებლობის გამო. როცა ი. მდივნიშვილმა დაინახა მის სახლისკენ ბლომათ მემავალი ხალხი, მან, როგორც ჩვეულებაა, ერთი ჩაფი ღვინო მოამზადა გასასტუმრებლათ. მაგრამ მისმა შვილმა კოლამ სულ სხვა გზას მიმართა: რევოლვერით და თოფით უბირებდა გამასპინძლებას. ამის გამო მდივნიშვილის მთელი ოჯახი ხალხმა ბოიკოტით დასჯა ამ დრომდე, სანამ ,,დაბოიკოტებული'' თავისთვის დამნაშავეთ არა სცნობდა და სახალხოთ ბოდიშს არ მოიხდიდა. ამ დღეს იაგორ მდივნიშვილი წარსდგა ხალხის წინაშე, აღიარა თავი დამნაშავეთ, მოიხადა ბოდიში შვილის მაგიერათ და ითხოვა პატიება. ხალხმა ერთხმათ პატია, რაზედაც გახარებულმა ახნაურმა მადლობა გამოუცხადა. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ იაგორ მდივნიშვილი მთელ სოფელში ცნობილია, როგორც ძალიერ პატიოსანი კაცი და ამიტომ ხალხიც სიამოვნებით შეურიგდა მას. ხალხი კანცელარიას არც ეკარება და ყოველივე სიჩივრის სქმეს თითონ სწყვეტს. ტყუილა არ იყოს, დროებით ვადებულთა და მათი ნაბატონარების ურთიერთობა ვერ არის რიგზე დაყენებული. რადგანაც ნაბატონარები გლეხებზე უფრო კასწყლებული არიან, მოინდომეს ამ წლისთვის კომბრომისით გათავებინათ სქმე, მაგრამ ამის შესახებ მოლაპარაკებას არაფერი შედეგი არ მოყვა.

გზები ისე შეკეთეს სხვაგან და სახოგადოთ რაჭაში რომ ადმინისტრაციას ასეთი რამ არც კი დასიზმრებია,

სხვაველი.

რუსეთის ქრონიკა.

ვარშავის მექანიკურ ზავოდის ლოლოპის მუშები დაითხოვეს, ზავოდი დახურეს და ერთი როტა სალდათები ჩააყენეს. იმ მუშებმა, რომელთაც სურთ მუშაობის დაწყება წერილობითი უნდა განაცხადონ. (რ. ს.).

—

ამ უკანასკნელ დღეებში ქ. ხარკოვის ქუჩები ჯარის კაცებით არის გაჭედილი, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფათ ქუჩებში დადიან. (Правит.).

—

სად. როსტოვში ვლადიკავკაზის რკინ. გაზაზე. ყველა უმთავრეს ადგილებში ჯარის კაცებია დაყენებული ტელეგრაფის მართულების დასაცველათ. (დ. რ.).

—

ამ ჟამათ სევასტოპოლში 1000 მატროსებია დაპატიმრებული. კონსტანტინოვის ბატარეაში „პრუტზე" არიან ყველა დამწყვდეული. სხვათა შორის შეამჩნიეს, რომ ღამ-ღამობით ლამპით ქალაქის ზოგიერთ სახლებში ელაპარაკებიან რალაცას. კამანდერის ბრძანებას მოელიან, რომელიც ოფიცრებს ბულვარზე სეირნობას აუკრძალავს. (Салгиръ).

—

ატკარსკიდან „რუსკოე სლოვოს" ატყობინებენ, რომ სოფ. ტურკოვის ახლოს გუბერნატორს სამჯერ ესროლეს. მსროლელი მიიმალა.

—

ნიკოლაევში სამხედრო წესები გამოცხადდა და სამასამდე კაცი სხვა და სხვა რუსეთის კალაქებში გადასახლდა. (ს. ო.).

—

ეკატერინოსლავში პოლიციას ხალხთან შეტაკება მოუვიდა და შეტაკების დროს უბნის ზედამხედველს სახეში გოგირდის სიმჟავე შეასხეს, რამაც საუკუნოთ დაასახიჩრა. (რ. ს.).

როგორც გაზ. „Риж. В. გადმოგვცემს კურლიანდიის გუბერნიაში აგრარული მოძრაობა მეტათ გამწვავდა. მემამულეებს ძლიერ ავიწროებენ, სახლკარს და მამულებს ანადგურებენ, მემამულეებს ქლეტენ. გარბინიდან მემამულეების ქონების დასაცველათ ჯარი გამოიწვიეს. სიფლის მამასახლისი მძიმეთ დასჭრეს. მიტავის ახლო მახლო დიდ არეულობას ელიან. ვოლგუნდში აგურის ქარხნის მუშები აღელდენ.

—

გომელში 18 ივლისს დღის 12 საათზე, როცა როტმისტრი შებეკო და ნოვიცკი გენერალსკის ქუჩაზე მიდიოდენ ვიღაც უცნობმა ორმა ახალგაზდამ, რომლებიც ეტლში ისხდენ, ყუმბარა ესროლეს, მაგრამ ყუმბარა არ გასკდა. ახალგაზდები მიუხედავათ იმისა, რომ ჟანდრებმა რევოლვერი ეს-

როლეს გაიქცენ. პოლიციამ შეიპყრო „მეეტლე“, რომელმაც ახალგაზდების ცნობაზე უარი განაცხადა. როტმისტრ შებეკომ დიდი ხანი არაა, რაც გომელში სამი საიდუმლო სტამბა აღმოაჩინა და რამდენიმე არალეგალური წიგნების საწყობიც.

(Южн. Кр.).

—

კალიშის მუშები, რომლებიც ამხანაგებში მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ აგიტაციას ეწეოდენ, გუბერნატორმა ადმინისტრატიული წესით დააპატიმრა.

(რ. ს.).

ფელეტონის მაგიერი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა. არც ის ქვეყანაა მაინცა და მაინც შორს, სადაც ეს ამბავი მოხდა.

ქვეყანაზე გასაკვირალი არაფერი არ არისო, ამბობენ და, თუ კი ასეთი თქმა მართალია, არც ეს ამბავი ყოფილა გასაკვირალი. ის ქვეყანა, სადაც ჩვენი პატარა ამბავი მოხდა, ამ ჟამათ ძალიან არეულ-დარეული ქვეყანაა და მისი გამგე-მმართველი დიდ საგონებელში ჩავარდნილი.

მას ისე უცებ გამოეცალა ხელიდან ლაგამ-აღვირი, რომელიც ქვეყნისთვის აეღვა პირში, რომ ყველას უკვირდა.

აღვირ ახსნილმა ქვეყანამ თავი აიშვა და განთავისუფლებულ რაშივით გაიწია წინ. უკან დასტოვა თავისი მხედარი და სიხარულის ჰიხვინით გაინავარდა.

თუმცა მხედარმა ბრაგვანი მოადინა მიწაზე, მარა თავისას მაინც არ იშლიდა და ზეპირათ იქნევდა წალმა-უკუღმა მათრახს, რომელიც ძველი დიდების ერთათ ერთ ნაშთს წარმოადგენდა.

მაგრამ უკაცრავათ, მკითხველო, ამ შედარებამ, რომელიც თავის თავათ ვერაფერი შვილია, შორს წამიყვანა და ისევ სჯობია შევჩერდე.

აი იმ ქვეყანაში, რომელიც მე რაშს შევადარე, სცხოვრობდა ერთი ვინმე ღვთის მსახური, გვამი ფრიად სპეტაკი და უმწიკვლო. გვამსა ამას ებადა მრავალი თვალ-მარგალიტი და ბაჯაღლო ოქრო, რომელი აელო მოყვასთაგან თვისთა, ვითარცა შესაწირავი ღვთისა.

არ იფიქრო, მკითხველო, რომ ამ წმიდა გვამის ზრახვანი რაიმე ანგარებით ყოფილიყო შელახული. ღმერთმა დაგიფაროს ამნაირი აზრისაგან! მართალია, თვითონ გვამი, განცხრომაში და ფუფუნებაში ცხოვრობდა და თავისთვის არაფერს დაიკლებდა, მარა ეს მისთვის აუცილებელი იყო, რადგან დიდი მოვალეობა და პასუხის მგებლობა აწვა თავს და თავის ფრიად საძნელო საქმეში მრავალი ჭაპან-წყვეტა და ოფლის ღვრა სჭიროდა.

ის იყო შუამავალი ხალხსა და ღვთაებას შორის. იგი ევედრებოდა ყოვლად წმიდა განგებას, რათა არ დაეგდო უყურადღებოთ ხალხი მრავალ ჭირნახული; ჩოქვითა და მკერდზე ცემით ლოკულობდა იგი წინაშე ძლიერი მეუფისა და თავის ძალთა ასადგენათ დიახ განუსაზღვრელათ მოიხმარდა სიმდიდრეს და თვალ მარგალიტსა მას, რომელი მოყვასთაგან მიელო შესაწირავათ.

უფალმან არა ისმინა ვედრება ჲ ფრიად დიდი განსაცდელი წარუგზავნა ღვთის მოსავსა მას.

ერთ საზარელ და შხამათ მოსაგონარ დღეს შემდეგი ბარათი მოუვიდა:

„შეწევნითა ღვთისათა გიცხადებ შენ, ჭოი მონაო, რომ თვალ-მარგალიტნი და ბაჯაღლონი შენნი მე მომინდა. გიბრძანებ დაუტევო ოქრო ვერცხლი და სპეტაკათ და განწმენდილათ შეუდგე წმიდასა ღვთის მსახურებასა, ხოლო სიმდიდრეს შენსას შესაფერათ მოვიხმარ მე მბრძანებელი.“

ფერი ეცვალა ღვთის მოსავს. გაბრაზდა და გაბრაზდა, წყევა-კრულვა გამოუცხადა მბრძანებელს და შეაჩვენა იგი. მოიწოდა მოყვასნი და უბრძანა მათ აელოთ მახვილი წინააღმდეგ უდიერი მბრძანებელისა, რომელმან დაარღვია სულის სიმშვიდე მისი.

მრავალი მოყვასთაგანი დაემორჩილა მის ბრძანებას, ხოლო მრავალი უგუნური ასე სჯიდა:

„დე, რამდენიც უნდათ, იმდენი იომონ ჩვენთვის გამოუდეგარ სიმდიდრეზე; ყვავი ჩხიკვის მამიდაა, გინდ ყვავს წაუღია გინდ მის ძმისწულს—ჩხიკვს დარჩენიაო“. ესენიც შეაჩვენა ღვთის მოსავმა გვამმა და გულმოდგინეთ შეუდგა ოქრო ვერცხლის დაბრუნების საქმეს.

ამ დროს ბრძანებელი, რომელმაც შეურაცხყო ღვთის კაცი, მეტათ ძლიერი და ყოყოჩი იყო და არავისი წინააღმდეგობისა და მუქარის არ ეშინოდა.

მარა დრო იცვალა და დროსთან ერთათ ვარემოებაც გადასხვაფერდა. როგორც ამ ფელეტონის დასაწყისში ვთქვი, ქვეყანა აირ-დაირია, სასტიკ მბრძანებელს ძლიერება დაეკარგა. „წყალ-წაღებული ხავსს ეკიდებოდაო“, ნათქვამია და მანაც ერთ სასაცილო ხერხს მიმართა დაკარგული ძალის მოსაპოებლათ. ერთს შვენიერს და ტკბილათ მოსაგონარ დღეს ღვთის მოსავ გვამს შემდეგი ბარათი მოუვიდა:

„შეწევნითა ღვთისათა გიცხადებ შენ, წმიდაო მამაო, რომ თვალმარგალიტნი და ბაჯაღლონი შენნი მე აღარ მინდა. გიბრძანებ ჩაიბარო ოქრო ვერცხლი და არ დაივიწყო კეთილის მყოფელი შენი.“

სიხარულმა და აღტაცებამ შეიპყრო არსება მოხუცი გვამისა. მოიწოდა მოყვასნი წიაღსა წმიდასა და გამოუცხადა სასიხარულო ამბავი. შეევედრა უფალს თვითონ და შეავედრა, კეთილის მყოფელი, რომელმან დაუბრუნა ძვირფასი თვალმარგალიტნი დაბაჯაღლო ოქრონი.

მარა იმ დროს, როდესაც წმიდა მოხუცი მხურვალე ლოცვით მიმართავდა განგებას, ვიღაც თავხედმა მოყვასთაგანმა საშინელი სიტყვებით მიმართა ხალხს. მოინდომა უანგარო მოხუცის სამწყსოსა ზედა გავლენის გაბათილება...

ვერ მოითმინა მოხუცმა ასეთი შეურაცხყოფა და უბრძანა ერთგულთა თვისთა ეგვემათ თავხედი მონა და თანამოაზრენი მისნი, ხოლო თვითონ აიკრიფა შესამოსელი და მეყუსეულათ დაუტევა წიაღი წმიდა.

გვემეს მონა უგუნური და თანამოაზრენი მისნი, რამეთუ ბედნიერებასა შიგან მოყვასთასა შთააასხეს მათ შხამი მწარე.

თავგუნა.

კიდევ გაკვრით

ცნობის ფურცლის მეფელეტონე სიტყვა რომ ახირებული ტიპის „მწერალია“ ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ თუ ის ასე უვიცი იყო არ გვეგონა.

„ცნ, ფურც.,“ მე 2881 ნომერში ის წერს: „მიწა იმის უნდა იყოს ვინც თვითონ მუშაობს მიწაზე“, გაიძახიან გლეხები, ამას თხოულობენ გლეხები, ძერე რა პასუხი მისცეს მესამე დასელებმა გლეხთა მოთხოვნილებას? რაღაც საეშვო ნაჭრებს, სანადელო ფულების დაბრუნებას და საიჯარო ფასის შემცირებას დაჰპირდენ მხოლოთ. მერე ეს დაკმაყოფილებს გლეხებს? არა და არა! ამაში ღრმათ დარწმუნებულნი არიან თვითონ მესამე დასელები“. პირველ -ყოვლისა, მესამე დასელები არავის არას პირდებიან, იმიტომ რომ იმათ

ხელში არა არის რა. ჩვენ ველაპარაკებით ხალხს იმაზე თუ როგორ ჩაეარდა ის ცუდ პირობებში, რათ ხდება რომ ის მთელი თავის სიცოცხლე შრომობს, სისხლის ოფლს აქცევს, უთვალავ სიმდიდრეს ქმნის, მისი შრომით სხვები სარგებლობენ, ფუფუნებაში და განცხრომაში ცხოვრობენ და ის კი მუდამ მშიერია, მოკლებული პოლიტიკურ უფლებებს, ყოველთვის დაჩაგრულია. ჩვენ ვიკვლევთ ამ უბედურების მიზეზებს და მათ მოსასპობათ ვეძებთ ნამდვილ, უტყუარ საშუალებას. ჩვენი აზრით მიზეზი დღევანდელი სიღარიბისა, უსამართლობისა და სოციალური უსწორ-მასწოროებისა არის კერძო საკუთრება. გვინდა რომ მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, შრომის იარაღები, საზოგადოთ ყოველივე სიმდიდრე, რაც დღეს საზოგადოების უმცირეს-ნაწილის ხელშია მოგროვილი, გახდეს საზოგადო საკუთრებათ. აი მაშინ დამყარდება ჩვენი აზრით ბედნიერება, მოისპობა ცარცვა-გლეჯა, პირადი შრომის მითვისება, ერთი სიტყვით, მოისპობა ყოველივე უსამართლობა, ამას ჰქვია სოციალიზმი. მერე როგორ, რანაირათ უნდა განხორციელდეს ეს სოციალიზმი?

ძველათაც იყვენ სოციალისტები მაგრამ მათი შეხედულება სოციალიზმზე და ეხლანდელი შეხედულება სოციალ-დემოკრატებისა ამავე საგანზე სხვა და სხვა არის. წინანდელი სოციალისტები კლასთა ბრძოლას არაფერ ყურადღებას არ აქცევდენ. იმათ ეგონათ, რომ გაჭირვების და უბედურების აღმოსაფხვრელათ საკმარისი იყო მხოლოთ მდიდრების გულკეთილობა, რომელნიც უხვათ ურიგებდენ ღარიბ-ღატაკთ მოწყალებას. სანამ სოციალისტები ამ აზრისანი იყვენ, რომ ქვეყნათ ბედნიერების დამყარება შეუძლიათ მხოლოთ მდიდრებს, „კეთილ-შობილთა“ წოდებას, მანამდის მუშათა მოძრაობას ისინი არა თუ ამართლებდენ, ეწინააღმდეგებოდენ კიდეც, რადგანაც, მათი აზრით, ეს მოძრაობა ხელს უშლიდა სოციალიზმის განხორციელების საქმეს. მაგრამ დრონი იცვალენ. ეხლა ამნაირი მსჯელობა უნაყოფო ოცნებათ ითვლება. დღეს ყველას სწამს, რომ ხალხის ხსნა უბედურებისაგან ზევიდან კი არა ხდება, ხდება ქვევიდან, რომ ხალხმა უნდა შეიგნოს მიზეზი თავის უბედურებისა და თამამათ შეებრძოლოს იმ დაბრკოლებას, რომელიც ხელს უშლის მის წინსვლას, მის ბედნიერებას. ხალხმა თვითონ უნდა უშველოს თავის თავს, თითონ უნდა მოიხსნას ის უღელი, რომელიც მას კისერზე ადევს, უნდა შეიგნოს ამის საჭიროება, უნდა მიხვდეს, რომ მხოლოთ შეერთებული და შეგნებული ბრძოლით შეუძლია მას მიახწიოს თავის საწადელს, თავის იდეალს-სოციალიზმს. ამიტომ არც ერთი მესამე დასელი არ პირდება ხალხს, რომ ჩვენ დაგირიგებთ მიწას, ჩვენ დაგმყარებთ ამ წუთში სოციალიზმს და მით გაგაბედნიერებთო. არ ეტყვის ამას იმიტომ, რომ სოციალიზმი ფლავივით არა რიგდება, როგორც ეს ბ. სიტყვას გონია, მისი განხორციელების საჭიროება უნდა შეიგნოს თვით ხალხმა, უნდა შეიგნოს, რომ კერძო საკუთრება, რაზედაც არის დამყარებული დღეს საზოაგადოეარივი წყობილება, არის წყარო ყოველიკე უბედურებისა და გაჭირვებისა. როდესაც ამას შეიგნებს უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა, მაშინ სოციალიზმის განხორციელებაც ადვილი საქმეა. დღეს კი, როდესაც საზოგადოების ცხრა მეათედი კერძო მესაკუთრეა, როდესაც ხალხის უმრავლესობა ამ კერძო საკუთრებაში ეძებს სიკეთეს და მაზე ამყარებს თავის ბედნიერებას, ლაპარაკი სოციალიზმის ეხლანდ განხორციელებაზე უგუნურობაა. რათ გონია ბატონ სიტყვას, რომ ჩვენ ვეუბნებით მუშა ხალხს, რომ ფედერალისტების აზრით „სოციალიზმის განხორციელება სამერმისო საქმეა“, ამას ჩვენ არასოდეს არ დავსწამებთ ფედერალისტებს, რადგანაც დარწმუნებულნი ვართ რომ იმათ ვერ შეუგნიათ ის ან-ბანური ჭეშმარიტება, რომ სოციალიზმის განხორციელება „სამერმისო საქმეა“ და არა აწმყო დროს ბატონო სიტყვა, თქვენ არ გესმით რა არის სოციალიზმი და, თუ შეგიძლიათ, გირჩევთ შეისწავლოთ და მხოლოთ მერე დაიწყოთ ამ საგანზე წერა, რადგანაც თქვენი ბავშვური მსჯელობით, არა თუ ვერავის არწმუნებთ, პირიქით, მეტათ სასაცილო მდგომარეობაში აყენებთ თქვენსავე თავს.

„მესამე დასელები ამყარებენ თავის იმედებს. მხოლოდ საკუთრებას მოკლებულ პროლეტარიატზეო“, ამბობს ბატონი სიტყვა. დიაღ, ჩვენ სწორეთ ამ საზოგადოების ნაწილზე ვამყარებთ ჩვენ იმედებს, მაგრამ ისიც გვრწამს, რომ რაც უფრო გათვითცნობიერდებიან გლეხკაცები და, საზოგადოთ, წვრილი მწარმოებელნი, მით უფრო შეიგნებენ სოციალიზმის საჭიროებას, მით უფრო მიხვდებიან, რომ მათი ქიშპობა და კონკურენცია სხვილ წარმოების წინააღმდეგ ამაოა და შეგნებულათ და თავის ნებით პროლეტართა მებრძოლ რაზმს შეუერთდებიან *). ამ შეხედულებას ვამყარებთ ჩვენ ისტორიაზე ცხოვრების სინამდვილეზე და არა უნაყოფო ოცნებაზე, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა. დიაღ, თქვენ ოცნებობთ ბატონო სიტყვა, ოცნებობთ ბავშურათ, ხალხი კი იმდენად გათვითცნობიერდა, რომ მაგ თქვენ ბავშვურ ტიტინს ღირსეულათ აფასებს და ღირსეულათვე გისტუმრებს ხოლმე უკან. ბატონ სიტყვას უკვირს, რომ ჩვენ იმასვე არა ვთხოულობთ, რასაც საფრანგეთში გედისტები კომუნებისა და კოოპერაციებისთვის. გასაკვირველი აქ არა არის რა. ჩვენ მოვითხოვთ იმას, რაც ჩვენთვის გამოდგება, გედისტები ითხოვენ იმას, რაც მათთვის არის გამოსადეგი. სოციალ-დემოკრატია, სხვათა შორის, მითი არის მძლავრი და მაგარი პარტია, რომ ყველგან და ყოველთვის ადგილობრივ პირობებს უთანხმებს თავის მოქმედებას. მხოლოთ იმას, ვისაც არაფერი გაუგონია სოციალ-დემოკრატიაზე, შეუძლია მოითხოვოს ამ პარტიას, რომ სხვა-და-სხვა ადგილას და სხვა-და-სხვა პირობებში ერთი და იგივე მოითხოვოს, ნამეტურ კომუნებისა და კოოპერაციების შესახებ, რომელზედაც ერთხელ და სამუდამო აზრია მიღებული პარტიაში, რომ ამაზე გადაჭრილი და ყოველგვარი პრაკტიკულათ გამოსაყენებელი პასუხის მიცემა არ შეიძლება, რომ ეს არის პრაკტიკული კითხვა, რომელიც წყდება ადგილობრივი პირობების მიხედვით. ასე რომ არ იყოს, მაშინ სოციალ-დემოკრატები მატერიალისტები კი არა მეტაფიზიკები იქნებოდენ.

დიახ, ბატონო სიტყვა, შეიძლება ნორვეგიისთვის ავტონომია სასარგებლო იყოს, შეიძლება სოციალ-დემოკრატია იქ ემხრომობოდეს ავტონომიას, მაგრამ ემხრობიან იმიტომ კი არა რომ ავტონომია, საზოგადოთ, მუშათა პარტიის გამამტკიცებელი და გამაძლიერებელი საშუალება იყოს, არამედ იმიტომ, რომ ადგილობრივი ცხოვრების პირობები მოითხოვენ ამას. სწორეთ ამავე მოსაზრებით უარ-ვყავით ჩვენც თქვენი საოცნებო ავტონომია, რაც არა ერთხელ გვითქვამს. „მესამე დასელებს გული უწუხთო, ამბობს სიტყვა, რატომ ჩვენ მიერ გაზეპირებულ ფრაზებს არ იმეორებთ თქვენცაო, და ყოველად საზიზღარ ცილის-წამებას ავრცელებენ ფედერალისტების შესახებ: რომ ვითომ ფედერალისტები ზნე-დაცემული ადამიანები არიან, ხალხის მიტყუარები და დამჩაგვრელები, სხვისგან მოსყიდულნი და მოქრთამულნი, რომელთაც უნდათ აღადგინონ ძველი მეფობა და ბატონობა, გაბატონონ ბურჟუაზია და თავად „ნაროპაო“ რაკ შეეხება იმას, რომ ჩვენ

*) ამის შესახებ იხილეთ ჩვენი წერილი მოგზაურის №-26.

ვითომ ვწუხდეთ, რომ ფედერალისტები ჩვენ მიერ გაზეპირებულ ფრაზებს არ იმეორებენ—ეს ტყუილია. ჩვენ კარგათ გვესმის რომ ჩვენ აზრს ფედერალისტები ვერ გაიმეორებენ, რადგანაც ისინი ფედერალისტები არიან... წუხილი ჩვენი საქმე არ არის, მოთქმა-ტირილი, წუხილი, „მწარე ცრემლები“ და „სამი წერტილი“ უძლურთა საქმეა.

ჩვენ კი არა ვტირით ვებრძვით, ყოველ გვარ სიყალბეს, ყოველივე უგუნურებას, რომელიც თქვენისთანა პირებისაგან ხალხში ითესება. რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის გაბატონება გინდათ—ამას თქვენ, როგორც წერით, ისე მოქმედებითაც ამტკიცებთ, რაზედაც არა ერთხელ და ორჯელ გვქონია ლაპარაკი. შეგნებულათ, თუ შეუგნებელათ, ხალხის მატყუარებიცა ხართ, რადგანაც თქვენი შეხედულება სოციალიზმზე და მის განხორციელებაზე, თქვენი დაპირება, რომ ხალხს გაამდიდრებთ და ამ გამდიდრებით სოციალიზმს დაამყარებთ, წარმოადგენს ყალბ აზრს, რომლითაც ხალხი შეიძლება მოტყუვდეს და სწორ გზას აცდეს. თქვენ ლაპარაკობთ და არწმუნებთ ხალხს, რომ ფედერალისტები მისი მეგობრები არიან; მერე რითი ამტკიცებთ ამ თქვენ მეგობრობას? თქვენ წარსულს ხალხის სამსახურთან საერთო არა აქვს რა. აწმყოში კი არას აკეთებთ... მოიგონეთ ის დრო, როდესაც ხალხის ნამდვილ მეგობრებს ჯერ სამასხაროთ იგდებდით, მერე დევნიდით, ხალხის მოღალატეს უწოდებდით. „მესამე ძალელები“ საგინებელ სიტყვათ გადააქციეთ, ხოლო მუშებს უგნურ ბრბოს უწოდებდით. იმ დროს, როდესაც ეს „უგნური ბრბო“ თავის თავის და კაცობრიობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მტერს მედგრათ ებრძოდა, თქვენ სადღაც შორს იყავით მიმალული... ეხლა კი, როდესაც ამ „უგნურების“ წყალობით ქვეყანა გამოფხიზლდა და თქვენისთანა მხდალ კაცუნებსაც კი ხმა ამოაღებინა, გამოდიხართ და ხალხის მეგობრათ მოგაქვთ თავი?!. სინდისი, სინდისი რას გეუბნებათ, როდესაც ამას შვრებით. რას გეუბნებათ სინდისი თქვენც ბატონო სიტყვა, როდესაც შემდეგ სიტყვებსა სწერთ: „რატომ არიან მესამე დასელები ავტონომიის მოწინააღმდეგენი! ეს უპირველესათ მათი უვიცობის, დაჟინების და ვიწრო თავმოყვარეობის ბრალია, მაგრამ არის ერთი უფრო საყურადღებო მიზეზიც. მესამე დასელები ცენტრალიზმს. ცენტრალ მთავრობას იმიტომ, რომ დრმა პატივს სცემენ მთავრობას და დიდი იმედი აქვთ მისი. მთავრობის მოყვარე კი ყოველთვის ცენტრალისტია. რადგან ცენტრალისტური მთავრობა უფრო ძლიერია, ვიდრე სრა ცენტრალისტური“ (კურსივი ჩვენია).

გამოდის რომ ავტონომიის წინააღმდეგნი მესამე დასელები მხოლოთ იმიტომ არიან, რომ მთავრობა უყვართ, ღრმა პატივს ცემენ მთავრობას და დიდი იმედი აქვთ მისი, ხოლო მთავრობის სიყვარული და მაზე იმედების დამყარება ნიშნავს ხალხის ინტერესების უარის ყოფას, ეხლანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ამხედრებას ხალხის ღალატს, რენეგატობას, ერთი სიტყვით, ყოველივე სისაძაგლეს. ნუ თუ ეს საზიზღარი, უსვინიდისო ცილის წამება არ არის?! შეიძლება ბატონი სიტყვა ჰკუაზე შეცდა. ამ შემთხვევაში ის სიბრალულის ღირსია, მაგრამ თუ ის ამ ჭორს განზრახ თხზავს საზიზღარი ცილის მწამებელი ყოფილა, რომელთანაც კამათის გაგრძელება შეუძლებლათ მიგვაჩნია...

ხან-დონი.

თანამედროვე კითხვები.

ვ. ბრაკესი.

(თარგმანი)

„ძირს სოციალ-დემოკრატები!“ ჩვენ ხშირათ გვსმენია ამგვარი ძახილი. უთუოთ შენც გაგეგონება, საყვარელო მკითხველო, ეს სიტყვები! შესაძლოა შენც წამოგცდენია ეს სიტყვები როდისმე და თუ არ გითქვამს, თქმის სურვილი მაინც გექნებოდა. რა ბოროტ მოქმედება გიწდათ, რომ სოციალ-დემოკრატებს არ აბრალებდენ ადამიანები! განა ისინი არ აპირობენ, როგორც ამას ხშირათ ბევრი ამტკიცებს, მოსპონ ყველაფერი, რაც ჩვენთვის წმინდათ ითვლება,—საკუთრება, ქონწინება, ოჯახი? განა მათ არ აბრალებენ წვას და მკვლელობას? შეიძლება შენც ასე ფიქრობდი, საყვარელო მკითხველო, და თუ შენ არ გიფიქრია ეს, უთუოთ შენი მეზობელი მაინც იფიქრებდა.

მაგრამ, თუ შენ მართლა მოგვსლია თავში ამგვარი აზრი და თუ ამასთანავე სერიოზულათ გიკითხავს შენი თავისთვის: რა იცი შენ სოციალდემოკრატებზე?—უთუოთ უნდა გეპასუხნა შენი თავისთვის, რომ შენ იცი მათზე დანამდვილებით ძალიან ცოტა. სოციალდემოკრატების კიცხვის დროს შენ გხელმძღვანელობდა არა ნათელი წარმოდგენა იმის, რომ სოციალდემოკრატიული მისწრაფება გამოუსადეგარია, არამედ რაღაც არეული, გამოურკვეველი გრძნობა რაღაც არა სასურველისა. მაგრამ ადამიანმა უნდა იცოდეს რასაც აკეთებს; როდესაც ის სდევნის და იძულებს სხვას მისი მისწრაფებისათვის, მაშინ ოვითონ დარწმუნებული უნდა იყოს თავის სიმართლეში. მე ხომ უმჯობესს წერტილამდე მტყუანი ვიქნებოდი, რომ მძულდეს და ვსდევნიდე ისეთ კაცს, რომელსაც სურს განახორციელოს რაიმე სამართლიანი და გონიერი. აბა ვნახოთ, ჩემო სმყვარელო მკითხველო, რა უნდათ სოციალდემოკრატებს. მე ჩემი თავი ამ მხრით საკმაო მცოდნეთ მიმაჩნია და გპირდები, მკითხველო, რომ ყველაფერი, რასაც მე გიამბობ, იქნებასრული ჰეშმარიტება, რადგან ვიცი, რომ „ვინც ტყუის, ცემა უნდა!“

სოციალდემოკრატებს უნდათ ყველაფრის გაყოფა. ეს აზრი მიღებულია, როგორც სრულათ დამტკიცებული ფაქტი. ყოველი ადამიანი ვალდებულია მისცეს ყველაფერი რაც რამე აქვს. მერე შეუდგებიან მთელი ქონების თანასწორათ განაწილებას და თვითეული მიიღებს თავის ხვედრს, რომელსაც უპატრონებს თავის სურვილისაებრ. თუ ამის შემდეგ ერთი ბევრს დახარჯავს და მეორე ცოტას, რის გამო ისევ ქონების უთანასწორობა გაჩნდება, მაშინ ისევ შეუდგებიან ხელმეორეთ განაწილებას და ასე ამგვარათ. უპირველეს ყოვლისა უნდა განაწილდეს ფულები და მიწა.

ახლა მითხარი, საყვარელო მკითხველო, გინახავს შენ როდისმე იმნაირი ადამიანი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილის მზგავს რამეს თხოულობდეს? რასაკვირველია, არა! ამნაირი ხალხი ქვეყანაზე არც არის და არც არასოდეს ყოფილა! ამგვარი განაწილების მოთხოვნა იქნებოდა უდიდესი უგუნურება. იფიქრე, მკითხველო, ამ შემთხვევაში ვის უნდა რგებოდა რკინის გზა? ერთს ერგებოდა ლიანდაგი, მეორეს ლოკომოტივები, მესამეს ვაგონები და ასე ამგვარათ. ყველას უთუოთ თანასწორათ უნდა მიეღო; ამისთვის კი მეტი საშვალება არ იქნებოდა; უნდა სრულიათ დაენგრიათ რკინის გზა. ერთი წაიღებდა სახლში ბობლიდან გამომძვრალი ღერძის ნატეხს, მეორე ვაგონის კარის ნახევარს, მესამე ბურღვს, მაშინ როდესაც შეიძლება მეოთხეს დაგროვებული ნაგვის ნაწილი რგებოდა. ამისთანა რამეებს საგიჟეშიაც ვერ მოიფიქრებენ. ფულების და მიწის განაწილება შორს მომავალში მაინც იქნება მოსახერხებელი, მაგრამ ფული და მიწა ხომ არსებული ქონების ნაწილს შეადგენს,—ამასთანავე ფული—მხოლოთ სრულათ უმნიშვნელო ნაწილს. რაც შეეხება მიწას, ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა იმდენი საოჯახო შენობების ქონა, რამდენი

მიწის ნაჭერი იქნებოდა, და თვითეული ამგვარი წოჯახის პატრონისთვის უნდა მიეცათ მისი მიწის დასამუშავებლათ საჭირო ყოველგვარი სამუშაო იარაღები! ყოველივე ამის გამო მიწის განაწილება სრულიათ მოუხერხებელია, და სოციალ-დემოკრიტებმა დიდი ხანია კარგათ იციან, რომ ამ საშვალებით არ შეიძლება არც ერთი ადამიანის დახმარება.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, 1789 წელში, გადასწყვიტეს საფრანგეთის გლეხების გაბედნიერება იმით, რომ გაუნაწილეს მათ დიდი მამულები. რა შედეგი მოყვა ამ ზომას? საფრანგეთის გლეხების სიღარიბე აღწევს იქამდე, რომ მილიონობით იძულებული არიან ისინი იცხოვრონ ისეთ „სახლებში,“ რომელთაც მხოლოთ თითო კარი აქვსთ და არც ერთი ფანჯარა და უკეთეს შემთხვევაში კი თითო კარი და თითო ფანჯარა! გერმანელი საშუალო გლეხის მდგომარეობა კი უკეთესია?

ეს შეიძლება ითქვას მხოლოთ გერმანელი გლეხების უმცირეს ნაწილზე, მხოლოთ სხვილ მესაკუთრეებზე.

წვრილი გლეხი კი იძულებულია იშრომოს, წელებზე ფეხი დაიდგას, თუ უნდა თავი დაახწიოს და ეზო და სახლკარი მევალისაგან გადაარჩინოს; ხშირათ კი ამასაც ვერ ახერხებს. ეს წარმოდგება იმ მიზეზის გამო, რომ სოფლის მეურნეობის ეხლანდელ მდგომარეობაში, ეს მეურნეობა მაშინ მოუტანს პატრონს ნამდვილ სარგებლობას, თუ შეძლება ექნება დაიმუშაოს ცოტათ თუ ბევრათ დიდი მიწის ნაჭერი ყოველგვარი გაუმჯობესებული სამუშაო იარაღების შემწეობით. სოციალდემოკრატებმა კარგათ იციან ეს და, ამიტომ ცხადია, მათ თავშიაც არ მოუვათ აზრი მიწის განაწილების შესახებ. წინააღმდეგ ამისა, სწორეთ მიწის განაწილების საწინააღმდეგოს თვლიან ისინი სასარგებლოთ ყველასათვის და თვითეულისთვისაც; ისინი ხელმძღვანელობენ იმ შეხედულებით, რომ მოვა დრო, როდესაც ერთი სოფლის გლეხები შეერთდებიან, თავის მიწების შესამუშავებლათ, რასაკვირველია სრული სამართლიანობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შესძლებენ მეტოქობა გაუწიონ სხვილ მესაკუთრეებს, რომელთაც საკმაოთ ექნებათ განკარგულებაში ყოველგვარი გაუმჯობესებული სამუშაო იარაღები.

აქედან ცხადია, რომ რასაც ყბედობენ მიწის განაწილების შესახებ, როგორც სოციალდემოკრატების მისწრაფებაზე, სრული სიცრუეა! სოციალდემოკრატების მოწინააღმდეგეები, რომელნიც ამისთანა რამეებს იგონებენ, არამც თუ უღმერთოთ ახვევენ გერმანელ გლეხებს სიცრუის ბადეში, არამედ შეურაცხყოფასაც აყენებენ მათ: გერმანელი გლეხი ახლა აღარ არის ისე სულელი, რომ მან დიდხანს დაიჯეროს ამგვარი მტკნარი სიცრუე. სწორეთ ამ სიცრუეს ავრცელებენ სოციალდემოკრატების მოწინააღმდეგეები.

ამ გვარათ მიწის განაწილების ისტორია ბოლოს არარათ იქცა. რაც შეეხება ფულის განაწილებას, ამის შესახებ გიამბობთ ერთ არაკს, რომელიც მოგონილია იმ მიზნით, რომ მასხარათ აეგდოთ ხალხის მისწრაფებანი.

ამბობენ, რომ 1848 წელს, ერთხელ, როდესაც როტშილდი დასეირნობდა ქალაქ ფრანფურტის ბაღში, იმასთან მივიდა ორი მუშა და უთხრა: „უფალო როტშილდო! თქვენ მდიდარი კაცი ხართ, ინებეთ და გაგვინაწილეთ თქვენი ქონება!“ ამ წინადადებას საპასუხოთ როტშილდმა დამშვიდებით ამოიღო ჯიბიდან ქისა და უთხრა მათ: «დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენ წინადადებას, მით უმეტეს, რომ ძალიან ადვილი საანგარიშებელია: მე მაქვს 40 მილიონი გულდენი, (უნდა გენახათ რა გაეხარდა „მუშებს“ ამის გაგონება!) გერმანიაში კი 40 მილიონი მცხოვრებია. მაშასადამე თითო გერმანელს შეხვდება თითო გულდენი. აი, ინებეთ და მიიღეთ თქვენი წილი!» ამ სიტყვებით მისცა მან თვითეულ მათგანს თითო გულდენი და, სანამ სახტათ დარჩენილი «მუშები» ათვალიერებდენ მიღებულ გულდენს, როტშილდი მხიარულის ღიმილით გაუდგა თავის გზას!

აქედან ცხადია, რომ ზღაპარი ფულის განაწილების შესახებ არარათ იქცევა.

საჭირო არ არის გონების განსაკუთრებული სიმახვილე იმის გასაგებათ, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელიც შეიცავს ასეთ აუარებელ ხალხის რიცხვს, არ დაისვამს ასეთ სულელურ მიზანს. რასაკვირველია არიან ჰკუაზე შემცდარებიც, მაგრამ ნუთუ ჰკუაზე შეცდა ყველა ის 3010771 კაცი, რომლებმაც უკანასკნელი რეიხსტაგის არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებს მიცეს თავიანთი ხმები. ეტყობა აქ სხვა რამე უნდა იყოს! სოციალ-დემოკრატების რიცხვი შეუჩერებლივ მატულობს. მაშ ამ საქმეში რაღაც სხვა იმალება! თუ შევისწავლით ჩვენ ამ კითხვას გაზეთების, კრებების და სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის შემწეობით, დავრწმუნდებით, რომ სოციალ-დემოკრატები არამც თუ არ აპირობენ გაყოფის და განაწილების შემოღებას, არამედ წინააღმდეგი არიან ამისა: მათ უნდათ მოსპონ ყოველგვარი გაყოფა და განაწილება! ეს რაღაც უცნაურათ ეჩვენება ზოგიერთს, მაგრამ ნამდვილათ კი ასეა! სოციალ-დემოკრატები იმ აზრისანი არიან, რომ გაყოფა და განაწილება სწორეთ ახლა არის გაბატონებული. ისინი ამბობენ, რომ ეს განაწილება მთელ ქვეყანაზე ხდება სრულიად უსამართლოთ. მოიფიქრე მხოლოთ, მკითხველო რა ზორბა-ზორბა თანხებს ირგებენ ხოლმე თვითონ „პატივცემულნი მწარმოებლები“, რომელნიც, მიუხედავათ ასეთი უსამართლო განაწილებისა, სარგებლობენ ყველგან და ყოველთვის წარჩინებით და პატივისცემით. რამდენი ხელოსანი, გლეხი, მოხელე და მუშა იღებს ამის გამო ხელს თავის პატარა საკუთარი შრომით შეძენილ ქონებაზე?!

სოციალ-დემოკრატებს არ გამოუგონიათ პირველათ, რომ სწორეთ ახლა არის გაბატონებული განაწილება საშინელი უსამართლო ფორმით. მათ გაიგეს ეს იმ ხალხისაგან, რომელიც თავის მიმართულებით სოციალ-დემოკრატების მოწინააღმდეგეებს ეკუთვნოდა. ინგლისელი მილი, ერთი ყველაზედ უფრო ნაქებ მეცნიერთაგანი და ამასთანავე სოციალიზმის წინააღმდეგი, კაცი, რომლის ქებამ ყოველ ქვეყანამდის მიაღწია, ამბობს ერთ თავის თხუზულებაში შემდეგს:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ამდროში შრომის ნაყოფის განაწილება ხდება შრომის მიხედვით უკუღმა პროპორციონალურათ, ასე რომ მეტი წილი იმ ხალხს ეძლევა, რომელსაც არასოდეს არ უმუშავია; ყველაზე მეტს ისინი ითვისებენ, რომელთა შრომა ნომინალურია და ასე ამ გვარათ ძირს დაწევით კლებულობს ჯილდო და მატულობს შრომა, სანამ შრომის ჯილდო არ დამცირდება იმ ზომამდე, რომ მისი სამაგიერო შრომა ხდება უმძიმესი და აუტანელი; სანამ, ბოლოს ყველაზე უმძიმესი და ადამიანის გამანადგურებელი ფიზიკური შრომა არ მიაღწევს იქამდე, რომ მაში აღებული ჯილდო ვერ დააკმაყოფილებს ადამიანის უსაჭიროეს მოთხოვნილებასაც კი“.

ჰეშმარიტათ საშინელებაა ყოველივე ეს, მაგრამ, საყვარელო მკითხველო, მიმოიხედე გარშემო, დაუკვირდი შენ გამოცდილებას და დაინახავ, რომ ყოველივე ეს სრული ჰეშმარიტება არის!!

ვისკენაც ყოველ დღე მიისწრაფვის ყოველგვარი სიმდიდრე, ვისაც შეუძლია ერთი სიამოვნებიდან მეორესაკენ

გაეშუროს, შეიძლება მთელ თავის სიცოცხლეში არ გაეკეთებიოს არავითარი სასარგებლო საქმე.

სრულიად უშრომელათ ისინი ითვისებენ სხვისი შრომის ნაყოფს.

აბა შეხედე „თავის ოფლით“ მშრომელთ!

შეხედე მუშას, რომელიც იძულებულია გაყიდოს თავის სამუშაო ძალა! თუ ის მარჯვეა, ბეჯითია და ღონიერიც, თუ მას ბედი არ ღალატობს, მაშინ ხან და ხან კიდევ შეიძლებს გადასდოს ორი გროში შავი დღისათვის. მუშების უმეტესი ნაწილი კი ვერ აღწევს აქამდე, თუმც მთელ მის სიცოცხლეში აუტანელათ შრომობს. როდესაც ესენი იძულებული ხდებიან ხელი აიღონ მუშაობაზე, ამ უკანასკნელ დღესაც ისევე ღარიბები რჩებიან, როგორც იყვენ იმ პირველ დღეს, როცა მუშაობა დაიწყეს. რამდენია იმისთანა, რომ, მიუხედავათ აუტანელი შრომი'ა, ვერ დაიხსნის ვერც თავის თავს და ვერც მახლობლებს შიმშილისა და გაჭირვებისაგან. გაისეირნე, ჩემო მკითხველო, სილეზიისაკენ, საქსონიისაკენ, რეინისაკენ და ან ჩვენში გერმა'ელის მშვენიერ სამშობლოს სხვა ადგილებისაკენ! შენ შეხვდები ყველგან ფეხ შიშველა, თვალებ ჩაცვივნულ ხალხს, რომელსაც დაკარგული აქვს ყოველ გვარი იმედი. თუ მოინდომებ მათი ვინაობის გაგებას შეიტყობ, რომ ისინი არიან ბეჯითი, მშრომელი მუშები; რომ არსებობს ათასი და ათიათასი უსახლკარო მშრომელი, როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში! წვრილი მოხელეები კი უკეთეს მდგომარეობაში ცხოვრობს? განა ბევრია ისეთი მოხელე, რომელსაც, მიუხედავათ აუტანელი შრომისა, შეუძლია გადასდოს რამე თავის ჯამაგირიდან შავი დღისათვის? არა! ეს ასეა, თუმცა ვიცით, რომ მოხელეების უმრავლესობა მუშაობს და მუდამ მძიმე შრომას ეწევა. ასეთ მდგომარეობაში არიან სწორეთ წვრილი მოხელეები, რომელთაც უმცირესი ჯილდო ეძლევათ შრომის ფასათ. რამდენათ უფრო მაღალი ადგილი უჭირავს მოხელეს, იმდენათ მცირეა მისი შრომა და იმდენათ მეტია მისი ჯილდო. არიან ისეთი მოხელეები, რომელთაც უშველებელი ჯილდო ეძლევათ და შრომობენ ძალიან ცოტას და ან სულ არა. ეხლა შეხედეთ ხელოსნებს. ზოგიერთი პირები კიდევ ახერხებენ ამ დარგიდან სწორ გზაზე გამოსვლას. ზოგ მათგანს შეიძლება არ აწუხებდეს გაჭირვება, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა ეწევა სასტიკ ბრძოლას გაჭირვებასთან, რომელიც მით უფრო ძნელი ხდება მათთვის, რომ მთელი მათი არსებობა დამოკიდებულია მაზე, თუ რამდენათ შესძლებს ხელოსანი დაიცვას თავის პატარა საკუთარი წარმოება დიდი ფირმების და წურბელა მევახშეების მეტოქეობისაგან. ათასი და ათიათასი ხელოსანი იღუპება ამ ბრძოლაში, კარგავს დამოუკიდებლობას და ხდება მოქირავე მუშათ. ხელოსნობამ დიდი ხანია დაკარგა თავის ,,ოქროს ძირი''. ერთი დიდი მექარხნე აჭრობს ასობით მწარმოებელს, ესე იგი, ხელს აღებინებს მუშაობაზე და აკარგვინებს არსებობის საშვალებას. ეხლანდელ დროში, როცა სასტიკი ბრძოლა ხდება მეტოქეობაში, არსებობა შეუძლიათ მხოლოთ მას, ვინც ახერხებს იხმაროს წარმოებაში დიდი საშვალება, დიდი კაპიტალი. იგივე ხდება ვაჭრობამიაც. წვრილ ვაჭრებს ცუდი დღე ადგებათ მაშინ როდესაც სხვილი ვაჭრები იძენენ ურიცხვ სიმდიდრეს. დაახლოებით ამასვე ვხედავთ სოფელშიაც. წვრილი გლეხი ძლივს იმაგრებს თავს აუტანელი შრომის შემწეობით; მათი უმეტესი ნაწილი საბოლოოთ ღატაკდება. ერთი სიტყვით, რომ მოინდომოს კაცმა გლეხების დახასიათება, ბედნიერთა მცირე რიცხვის გამოკლებით, შეიძლება თქვას, რომ გლეხკაცობა ღატაკდება. აქ მოქმედობს მევახშე, რომელიც მოხერხებულათ სარგებლობს გლეხის გაჭირვებით; გლეხს კი გაჭირვებაში ცუდი მოსავალიც ჩაგდებს ხელში. ჩვენ ხშირათ ვხედავთ, რა სჩქარით გადადის სხვა და სხვა საკუთარი ოჯახი ერთი კაცის ხელში, როგორ ყიდიან წვრილი გლეხები თავის საკუთარ მიწებს მსხვილ მეკუთრეებზე. მხოლოთ ამ უკანასკნელებს შეუძლიათ ნამდვილი სარგებლობა გამოიტანონ მიწათმოქმედებისაგან. აქედან ცხადათა ჩანს, საყვარელო მკითხველო, რომ მუდამ მშრომელი ხალხი ვერ იძენს სიმდიდრეს, რომ მათ ხშირათ ეწევათ ხოლმე გაჭირვება, მწუხარება და სატანჯველი. ისიც ცხადია, რომ ეს მშრომელი ხალხი ქმნის იმ სიმდიდრეს, რომელიც საკმაოთა აქვს იმ ხალხს, რომელიც უსაქმოთ დახეტიალობს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება შრომობდეს, მაგრამ ისე ცოტას, რომ სალაპარაკოთაც არა ღირს. ბეჯითი, მშრომელი მუშა ძლივს ახერხებს არსებობას! სიმდიდრე კი მათ ეკუთვნის, ვინც არასოდეს არაფერს არ აკეთებენ და თუ აკეთებს რამეს, ისიც ისეთ რამეს, რაც არავისთვის სასარგებლო არ არის! ნუთუ აქ სამართლიანობა არის? რასაკვირველია, არა!

ინგლისის მთავრობის განკარგულებით მოახდინეს გამოანგარიშება, თუ რა ნაწილი ეძლევა მთელ ინგლისის მშრომელ ხალხს მთელი ინგლისის ხალხის შემოსავლიდან და რა ნაწილი ეძლევა ისეთ ხალხს, რომელიც სრულიათ არა შრომობს. რა გამოჩნდა? გამოჩნდა, რომ მუქთა-ხორა უმცირესობა ითვისებს მთელი ინგლისის ხალხის შემოსავლის დიდ ნახევარს და ინგლისის მშრომელ ხალხს კი მათგანვე შექმნილი სიმდიდრის მცირე ნახევარსაც არ უტოვებენ! არ ეფიქროთ, რომ გერმანიაში უკეთ არის საქმე! ჩვენი სამშობლო (გერმანია) არაფრით არ განირჩევა ამ შემთხვევაში ინგლისისაგან, გარდა ამისა, რომ ჩვენი მთავრობა, სამწუხაროთ, არ ახდენს ამგვარ განკარგულებას.

პატივცემულო მკითხველო! ნუთუ შენ გაამართლებ ამგვარ წეს'ებს? ეხლანდელ წესწყობილების გამართლება შეუძლია მას, ვისაც ჭვა აქვს გულის მაგიერ და რა გინდ წყევლა-კრულვით იხსენიებდენ სოციალ-დემოკრატებს, ისინი ამ მუხლში მართალნი არიან! ეს წესი ვერ გაგრძელდება ასე და არც უნდა გაგრძელდეს დიდხანს! ეს უსამართლობა არის და ამიტომ უნდა მოისპოს! სოციალდემოკრატები არ იბრძვიან ისეთი შეძენის წინააღმდეგ, რომელიც დახარჯული შრომის შედეგია; წინააღმდეგ ამისა, ისინი ამგვარ შეძენას თავის მფარველობის ქვეშ აყენებენ და ცდილობენ დაიცვან ის იმ ხალხისაგან, რომელიც არაფერს არ აკეთებს და სხვისი შრომის ნაყოფისაგან უდიდეს ნაწილს ითვისებს. სოციალდემოკრატები იბრძვიან ამგვარი შეძენის წინააღმდეგ და მიზნათ ისვამენ უზრუნველ ყონ მშრომელი ხალხისთვის მათი საკუთარი შრომის ნაყოფი. მაგრამ, შეიძლება, ამ შემთხვევაში ისინი ძალიან შორს მიდიან? რასაკვირველია, კარგი იქნება, რომ მშრომელი ხალხი დაიხსნას კაცმა გაჭირვებისაგან და მასთანვე მუქთა-ხორებმაც სხვებთან ერთათ იშრომონ; ამგვარი მდგომარეობა ძალიან სასურველია, მაგრამ განა სოციალდემოკრატები საკუთრების მტრები არ არიან? ისინი ხომ წინააღმდეგნი არიან იმ საკუთრებისაც კი, რომელიც უდიდესი შრომით და მოთმენით შეუძენია ადამიანს? სოციალდემოკრატები ხომ კომუნისტები არიან!?

ეს კითხვა, ყოველ შემთხვევაში, სერიოზული კითხვა არის და ამიტომ საჭიროა მისი დამშვიდებით გარჩევა.

ცოტა რამ საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის ისტორიიდან.

(თარგმანი)

შუალამეზე ოც ივნისს 1791 წ. ტიულერის სასახლის კარებში ადამიანი გამოჩნდა, რომელმაც ნაციონალურ გვარდიის დარაჯებს ძლიერ ფრთხილათ გვერდი ჩაუარა. ეს კაცი გამოვიდა თუ არა ჰიშკარში ერთ წამს მეჩერდა, აქეთ იქით მიმოიხედა, რომ დარწმუნებულიყო ხომ არავინ ადევნებს, თვალყურს სასახლის ახლო მდებარე ქუჩისკენ გადაუხვია და ღამის წყვდიადში მიიმალა. ამის შემდეგ სასახლიდან მეორე — გამოვიდა, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ მესამეც გამოყვა... ამათ ყველამ ერთათ თავი მოიყარეს კარუსელის მოედანზე, სადაც მათ გვარიანი დიდი ეტლი უცდიდა.

სამი კაცი „კოზლაზე“ მოთავსდა, დანარჩენი ექვსი-კი— სამი ქალი, ორი ბავშვი და ერთიც, ხანში შესული, მსხვილ-მსხვილი მამაკაცი ეტლში ჩასხდენ და სადღაც გასწიეს. ადრე პარიჟი და მისი მიდამოები გაიარეს და გავიდენ იმ დიდ გზატკეცილზე, რომელიც მიდის საფრანგეთის ჩრდილოეთით ბელგიის საზღვრისაკენ. როგორც ეტყობოდა მგზავრებს ძლიერ ეჩქარებოდათ, რადგანაც ისინი არსად არ ჩერდებოდენ, ეტლიდან არ გადმოდიოდენ და სწრაფათ საფოსტო სადგურებზე ცხენებს იცვლიდენ. ასე ამ რიგათ ორი დღის განმავლობაში მიდიოდენ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მგზავრები ერთი საათით შეაჩერა: გზაში ეტლის თვალი გატყდა. როგორც იქნა ქ. შალონი გაიარეს და ბელგიის საზღვრამდის დიდი მანძილი არ დარჩენიათ. ოცდაორ ივნისს ჰატარა ქალაქ სენ-მენუში ცხენებს იცვლიდენ. ეტლში მჯდომმა მამაკაცმა ეტლიდან თავი გამოყო, რომ ფოსტალიონი აეჩქარებია. სადგურის უფროსმა, რომელიც ამ დროს იქვე იდგა, მგზავრს ყურადღება მიაქცია და მისი სახე ნაცნობათ ეჩვენა. სადღაც ეს კაცი მას უნახავს! ეს ის სახეა, რომელიც ქაღალდის ფულზეა, რაც საფრანგეთის მთავრობამ დიდი ხანი არაა გამოუშვა.

„ხო, ეს მეფეა!,“ გაიფიქრა ჟან ბატისტ რუემ (სადგურის უფროსს ასე ეძახდენ),—პარიჟიდან მეფე სადღაც მირბის. დიდი ხანია მის გასაქცევათ ემზადებიან, ეს მთელმა საფრანგეთმა იცის.“

ეტლში მჯდომი ლამაზი ახალგაზდა მანდილოსნის ერთმა შეხედვამ დრუეს ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა: როცა პარიჟში სამხედრო სამსახურში იყო მან მრავალჯერ ნახა დედოფალი და მისი სახეც კარგათ დაახსოვნდა. ამის შემდეგ ენერგიით სავსე ახალხაზდას, რომელიც რევოლიუციის საქმეს მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა, დიდ ხანს აღარ უფიქრია. იმ წამსვე ცხენზე შეჯდა და სოფლის შარა გზით გაჩქარებით გასწია ქ. ვარენში, სადაც მეფის ეტლს აუცილებლათ უნდა გაევლო. ვარენში დრუე მეფეზე უფრო ადრე მივიდა. მერმა *) დაუყოვნებლივ ნაციონალური გვარდია შეკრიბა და ბრძანებაც გასცა, რომ ყოველგვარი ღონისძიება ეხმარათ გაქცეულების დასაჭერათ. ქალაქ ვარენში მეფის ეტლი შევიდა თუ არა დრუემ იმ წამსვე ცხენებს აღვირში ხელი სტაცა და მერის სახელით ეტლში მჯდომ მგზავრებს ბაშფორთი მოსთხოვა. ერთ მანდილოსანთაგანს რუსის ბარონესის კორფის ბაშფორთი ქონდა; დანარჩენები, კი, როგორც თავისი ფარეში, ორი თავისი კამპანიონი და მოსამსახურე ისე წარუდგინა; დრუე ამით ვერ მოატყუეს და მან ისინი წაეყვანა მერთან. მერმა მეფეს უთხრა, რომ ის უკვე კარგათ იცნეს და მისი გზის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. ლიუდოვიკ მეთექვსმეტეს სურდა დაერწმუნებია, რომ ის საფრანგეთის მეფე არ არის, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ყოველივე ეს არაა შველიდა და პირველათ განიზრახა შეშინება, როცა ამით ვერაფერს გახდა თხოვნა დაუწყო მერს, რომ ის გაეთავისუფლებია. მაგრამ არც შიშმა და არც თხოვნამ არ იმოქმედა და დაჭერილი ლიუდოვიკი მთელი ოჯახობით პარიჟში დააბრუნეს, რომელსაც თან მთელი ნაციონალური გვარდია გააყოლეს.

პარიჟი და მასთან ერთათ მთელი საფრანგეთი მეფის გაქცევამ ააღელვა. ეს ხომ პირველი და უკანასკნელი არ იყო! რომ მივხვდეთ და გავიგოთ პარაჟელების აღელვება-აბობოქრება მოღალატე მეფის საქციელის წინააღმდეგ აუცილებლათ უნდა გვენახა პარიჟი! ყველა საშინელებანი ამ ორი წლის განმავლობაში.

პირველათ მეფე უარს ამბობდა და არც უნდოდა დაემტკიცებია ყველა ის დადგენილება, რაც 4 აგვისტოს ნაციონალურმა კრებამ უკვე მიიღო. როცა მინისტრების და კრების ძალდატანებით მეფე იძულებული შეიქნა დაეთმო, მან ამ დროს პირველ შემთხვევითვე ისარგებლა, რომ ხელ ახლა წასულიყო წინააღმდეგ ნაციონალურ კრების დადგენილებისა და დიდხანს უარს ამბობდა კრების მიერ მოწონებულ კონსტიტუციის დამტკიცებაზე. შემდეგ მოლაპარაკება გამართა ლოტარინგიის გუბერნატორ ბუიესთან (Bouile), რომელიც სასახლის ყურმოჭრილი მონა იყო და თან მრავალ რიცხოვანი ჯარიც თავის განკარგულების ქვეშ ყავდა, ფიქრობდენ, მეფე ვერსალს დატოვებს და მეცაში წავა, სადაც ჯარის მეთაურობას იკისრებს, რომელსაც ბუიე კამანდრობდა, წამოვა ამ ჯარით პარიჟზე, ნაციონალურ კრებას დაითხოვს და სატახტო ქალაქის ყველა რევოლიუციონურ ელემენტებს გააქრობსო. ამ პლანს პარიჟის ხალხის მეოხებით განხორციელება არ ეღირსა.

პარიჟში 1789 წ. მიწურულში საშინელი შიმშილობა იყო. ხუთ ოქტომბერს პარიჟის ქალებმა პური ვერსად ვერ იშოვნეს, ვინაიდგან სატახტო ქალაქში ფქვილი ნაკლები იყო. ქალები ქუჩებში დაგროვდენ და ფიქრობდენ თუ ქმარ-შვილი რით გაეძღოთ. ერთმა ყველაზე უფრო გაბედულმა ქალიშვილმა ხელი სტაცა დოლს და დოლის კვრით წავიდა ქუჩაზე, მას თან გაყვა ახალგაზდა თუ ბებერი ქალების ბრბო, რომლებიც მთელი ძალ-ღონით გაყვიროდენ; „პური. პური!“ ისინი ყველა ერთათ მივიდა ქალაქის სამსჯავროს წინ. აქ მათ შეხვდათ ვილაც მაიარი, რომელმაც ბასტილიის აღების დროს თავი ისახელა, და მან ურჩია, რომ პირდაპირ ვერსალში წასულიყვენ, და იქ მეფის და ნაციონალურ კრებისაგან პური მოეთხოვათ, ეს რჩევა ყველას მოეწონა და ქალებთან ერთათ აუარებელი შეიარაღებული მამაკაცები ვერსალს წავიდენ. რამდენიმე საათის შემდეგ ამათ უკან გაყვა ნაციონალური გვარდიაც.

ვერსალში მისვლის თანავე ქალების დეპუტაციით მაიარი კრებაში შევიდა და იქ მოითხოვა, პირველ ყოვლისა პური და შემდეგ ნებართვა კრების პრეზიდენტისაგან, რომ მეფესთან დეპუტატები მისულიყო. კრებამ ნება მისცა, მეფემ კი შეპირდა დეპუტატებს ყველა იმის შესრულება, რასაც მისგან ითხოვდენ.

დაღამდა. პარაჟელებმა ვერსალში ღამის გათევა გადაწყვიტეს. ექვს ოქტომბერს დილის 5 საათზე ურიცხვი ხალხი მეფის სასახლის წინ მოგროვდა და ითხოვდა, რომ მეფე პარიჟში გადმოსულიყო: ხალხის ყურამდე უკვე მიეიდა ის ამბავი, რომ სასახლეს სურს რევოლიუციის წინაღმდეგობა და ამისათვის ბუიესთან მეფეს მოლაპარაკება ქონდა. მეფე პარიჟში გადმოსვლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ნაციონალური გვარ-

*) საფრანგეთის ქალაქის წარმომადგენელი, მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარე.

რდიის უფროსის ლაფაიეტის გავლენით უფრო კი ხალხის შიშით, რომელიც ქუჩაში იდგა, მეფე ბოლოს დასთანხმდა: მეფე და მისი ოჯახობა ნაციონალური გვარდიის თან გაყოლით პარიჟისაკენ გაემგზავრა და ტიულერის სასახლეში დასახლდა. „სიამოვნებით და ნდობით ვესახლები ჩემ პარიჟის ხალხშორისო,“ სთქვა ლიუდოვიკმა პარიჟის მერის ბაის სიტყვის პასუხათ.

დილიდან მეფეს თვალყურს ადევნებდა პარიჟის ხალხი. 19 ოქტომბერს პარიჟში ნაციონალური კრებაც გადმოვიდა, ვინაიდგან საუკეთესო მისი დამცველი, თუ სასახლე მოღალატეობას, ან და სახელმწიფოს გაძარცვას მოისურვებდა, პარიჟის ხალხი იყო.

ოთხ თებერვალს 1790 წ. მეფეს, რომ ის უკმაყოფილება დაუნდობლობა გაეფანტა, რასაც მას უცხადებდენ ნაციონალურ კრებაზე თვითონ მოვიდა, სადაც მან გახაცხადა, რომ მას სულითა და გულით სურდა ყველა იმის გაკეთება, რაც კრებამ გააკეთა. იგი შეპირდა, რომ მიიღებს ფიცს ქვეშ კონსტიტუციას, რომელსაც ნაციონალური კრება შეიმუშავებს. მეფის ასეთი სიტყვებით აღფრთოვანებულმა კრებამ შეფიცა მეფეს, რომ კანონის, მეფის და მთელი ნაციის წინააღმდეგ არ იქნება და თანვე მთელი ძალ-ღონით დაიცვას იგი კონსტიტუციას, რომელსაც შეიმუშავებენ და მეფე მიიღებს.

ასეთი ცერემონია კიდევ მეფემ 14 ივნისს 1780 წ. გადაიხადა. ამ დღეს პარიჟის ხალხმა გადაწყვიტა ბასტილიის აღების პირველი წლის თავი ედღესასწაულა. მარსის მინდორზე 400 ათასი კაცი პარიჟელი და პროვინციელი მოგროვდა. აქ ლაფაიეტმა ყველაზე პირველათ მიიღო ფიცი ახალი კონსტიტუციისა. „ჩვენ ვფიცავთ—მიმართა აღელვებულ ხალხს და სთქვა მან—ყოველთვის ხალხის კანონი და მეფის მომხრე ვიყოთ, მთელი ძალ-ღონით დავიცვათ ნაციონალური კრების შემუშავებული და მეფის მიღებულ კონსტიტუცია და მუდამ დავიცავთ და დავიფარავთ იმ ძაფს ძმობისას, რაც ჩვენ ყველა ფრანგებთან გვაერთებს.“

„ჩვენ ვფიცავთ!“ აღფრთოვანებით გაიმეორა ასი ათასმა კაცმა. შემდეგ მეფე წინ წარმოსდგა და შეფიცა „მტკიცეთ შეურყევლად დაიცოს უკვე მიღებული კონსტიტუცია და აგრეთვე ისიც, რომელსაც აწ მიიღებენ.“ დედოფალმა თავისი მცირეწლოვანი ვაჟი ხელში აიყვანა და წარმოსთქვა: „აი ჩემი ვაჟი; ის და მე თანაუგრძნობთ ხალხის მისწრაფებას.“

მაგრამ ყველა ეს თვალმაქცობა კონსტიტუციის და ხალხის თვალის ასახვევათ იყო, რის ნიღაბ ქვეშ სასახლის ხრიკები და ინტრიგა იფარებოდა; ამ თვალმაქცობის მიზანი იყო რევოლიუციის წინააღმდეგობა, რაც უკვე დაწყებული იყო და საფრანგეთის მშვიდობიანობის დარღვევას ემუქრებოდა. ამ დაუდუმებელ ელემენტებ შორის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, ერთი მხრით, სასულიერო წოდება, და მეორე მხრით ემიგრაცია. ნაციონალურმა კრებამ მიიღო კანონი, რის ძალით სასულიერო წოდება ვალდებული იყო კონსტიტუცია დაეცო. ბევრმა მათგანმა ფიცზე უარი სთქვა და გაუთლელ გაუნათლებელ გლეხების აღელვება იწყო, რომლებსაც არწმუნებდენ, რომ რევოლიუცია გლეხებს სარწმუნოებას წაართმევსო. სასულიერო წოდების ქადაგებამ აქა იქ გასჭრა, რის შედეგი მრავალი აჯანყება იყო და სამხრეთ საფრანგეთის ოლქების განადგურებაც მოყვა. რაც შეეხება ემიგრანტებს, რომლების უფრო მეტი ნაწილი ძველი თავადაზნაურების გვარეულობა იყო, რომლებიც მუდამ სამშობლოს ტოვებდენ, ისინი მოგროვდენ კობლენცში და იქიდან ცდილობდენ ევროპის სხვა სახელმწიფოების ჩარევას საფრანგეთის შინაურ საქმეში. ოც მაისს 1791 წ. ავსტრიის მთავრობა შეპირდა ომის გამოცხადებას და ცეცხლით და მახვილით ძველი წესწყობილების აღდგენას. ამასთანავე ემიგრანტები თავისი მომხრეების შემწეობით სასახლეში და ჯარში გაფაცებით მოქმედებდენ.

ეი ამ რევოლიუციის უმკაყოფილო ელემენტების დიდი იმედი ქონდა ლიუდოვიკს, როცა პარიჟიდან გაქცევას ფიქრობდა. პირველათ მან გაქცევა სინჯა 18 აპრილს 1791 წ.: იმ მოსაზრებით, რომ აღდგომის გატარება სენ-კლუში მოისურვა და დიდი იმედი ქონდა, რომ ბუიესთან ვადავიდოდა. პარიჟელებმა ის გზაში დაიჭირეს და იძულებული შეიქნა ტიულიერიში დაბრუნებულიყო.

ამის შემდეგ სასახლემ ახალი კომედიის თამაში დაიწყო. მან თავი მოიკატუნა და ხალხს დაანახვა, რომ ვითომც რევოლიუციით შექმნილ მდგომარეობას შეურიგდა. იმ წამსვე ყველა ის პირები, რომლებსაც ხალხი არ ემადრიელებოდა დაითხოვა, აგრეთვე ის ხუცებიც, რომლებმაც კონსტიტუციას არ შეფიცეს.

გარეშე საქმეთა მინისტრმა სხვა სახელმწიფოებში მყოფ საფრანგეთის ელჩების საყურადღებოთ ცირკულიარი გამოსცა, ცირკულიარში იყოანთქვამი: „ის, რასაც რევოლიუციას უწოდებენ, არის გაუქმება მრავალი ბოროტებისა, რაც საუკუნოების განმავლობაში უკვე მოგროვილა, ხალხის გაუნათლებლობის და მინისტრების ყოვლად შემძლებლობის გამო, რაც რასაკვირველია, მეფის ძლიერებას არ შეეფერება. ყველაზე უფრო საშიში მტერი ისაა, ვინც ფიქრობს, რომ ვითომც მეფე გულახდილი არაა. ეს ხალხი ან დამნაშავეა, ან და ბრმა. ამათ თავის თავი მეფის მეგობრათ მოაქვთ და მართლა კი—ისინი მეფის უფლების ერთათ ერთი მტრები არიან. ისინი მუდამ ჭამს იმეორებენ, რომ მეფე უბედურია, მეფე უკმაყოფილოა, ვითომც მეფისათვის არის რაიმე უფრო სასიამოვნო, ვიდრე ხალხის კეთილ-დღეობა! ისინი ამბობენ, რომ ვითომც მისი ღირსება დამცირებულია, ვითომც კანონზე დამყარებული ღირსება, უმაღლესი არაა ძალდატანებით დამყარებულ ღირსებაზე! ისინი ამბობენ, რომ მეფე თავისუფალი არააო. საზიზღარ ცილის წამებას ავრცელებენ, როცა ამტკიცებენ, რომ მის უფლებას ვიღაცეები ძალას ატანენო. აშკარათ ცილს წამებენ ისინი, ვინც ხედვენ თავისუფლების უქონლობას იმაში, რომ მისი უდიდებულესობა რამდენჯერმე დასთანხმდა პარიჟის მოქალაქეთა შორის ცხოვრებას, დასთანხმდა სამშობლოს სიყვარულის მეოხებით, შეიძლება, ხალხის შიშის გამო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უკანასკნელის სიყვარულის გამო. ამისათვის გავრცელეთ საფრანგეთის კონსტიტუციის შესახებ ის შეხედულება, რაც თვითონ მეფეს აქვს და ნურავის ერთ წუთსაც ნუ შეეპარება იქვი, რომ მისი უდიდებულესობა ყოველი ღონის ძიებით ცდილობს ამ კონსტიტუციის დაცვას“.

ამავე დროს ერთ ემიგრანტ პრინც კონდესთან მიწერილი წერილი გამოაქვეყნეს. „სამშობლოში დაბრუნდი, ძვირფასო ბიძია—წერდა მეფე—და დასტკბი იმ ბედნიერებით, რასაც ის გაწოდებს. დაბრუნდი და მტრების ნაცვლათ ძმებს შეხვდები. ერის სახელით და ჩემივე სახელითაც გიბრძანებ დაბრუნებას. მე გემუდარებით ამის შესახებ იმ კავშირის გულისათვის, რაც ჩვენ გვაერთებს და იმ სისხლისთვის, რომელიც ჩვენ ძარღვებში არის. დამორჩილდი, ან გეშინოდეს შენი მოუფიქრებელი ნაბიჯის შედეგებისა!“.

ხალხის უნდობლობა ამ წერილებით გააქარწყლეს. ყველა დარწმუნდა მეფის გულახდილობას და კონსტიტუციისათვის მეფის თავდადებას. კონდესთან მიწერილი წერილის დაწერის ოთხი დღის შემდეგ მეფე მთელი ოჯახობით პარიჟი-

დან გაიქცა და თავის კაბინეტში დატოვა მანიფესტი, რითაც მან თავის თავი მოწინააღმდეგეთ განაცხადა ყოველგვარი რეფორმის, რაც ცხოვრებაში გატარდა 1789 წ. დაწყებული. სასტიკათ გაკიცხა ნაციონალური კრება, ახალი კონსტიტუცია და პარიჟის ხალხი, და ბრალს დებდა მასში, რომ მან მოსპო მისი მემკვიდრეობითი უფლება, წაართვა მას მისი ქონება და ძალა დაატანა, რომ მას ისეთი დადგენილება დაემტკიცებია, რომელიც მას სძაგდა!.

ზ. ჩიჩუა.

(შემდეგი იქნება).

ბურჟუა და პროლეტარი *)

რას ნიშნავს ეს ბრალდებაᲐ ყველა იმ საზოგადოებათა ისტორია, რომელნიც დღემდე არსებობდენ, დამყარებული იყო კლასთა წინააღმდეგობაზე, რასაც სხვა და სხვანაირი სახე ეძლეოდა სხვა და სხვა ხანაში.

თუმცა საზოგადოების ერთის ნაწილისაგან მეორის გაყვლეფა სხვა და სხვა სახით ხდებოდა, მაგრამ ეს გაყვლეფა საერთო კუთვნილებაა ყველა განვლილ საუკუნოებისა. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ყველა საუკუნის საზოგადოებრივი შეგნება, მიუხედავათ არსებულ განსხვავებისა და სხვა და სხვაობისა, დღემდე განსაზღვრულ საზოგადო ფორმაში ტრიალებდა. მოისპობა კლასთა წინააღმდეგობა და მასთან ერთად გაჰქრება ამგვარი ფორმაც.

კომუნისტური რევოლიუცია ყველაზედ ურადიკალესი უარყოფაა არსებულ ქონებრივ ურთი-ერთობათა, რაღა გასაკვირველია, რომ ის ძირიანად არღვევს ტრადიციულ აზროვნებას...

მაგრამ მივანებოთ თავი ბურჟუაზიათ'თან კამათს.

როგორც ზემოთა ვთქვით, მუშების რევოლიუციის პირველი ნაყოფი პროლეტარიატის მიერ გაბატონებულ კლასთა უფლებების მოხვეჭაა, მის მიერ დემოკრატიის დაპყრობა.

როცა ეს მოხდება, პროლეტარიატი ისარგებლებს თავისი პოლიტიკური ბატონობით, და მანამდე არ მოუსვენებს ბურჟუაზიას თავდასხმით, სანამ ხელთ არ იგდებს მთელს მისს კაპიტალს, სანამ სახელმწიფოს, ე. ი. გამეფებულ პროლეტარიატის ხელში არ მოაგროვებს შრომის ყველა იარაღს და არ გააძლიერებს საწარმოო ძალას.

ეჭვს გარეშეა, რომ ყველაფერი ეს თავდაპირველად გამოიწვევს საკუთრების უფლებასა და წარმოების ბურჟუაზიულ პირობებში დესპოტიურ შეჭრას, მაშასადამე, საჭირო იქნება ისეთი ზომები, რაც ეკონომიურის მხრივ არ იქნება საკმარისი, რასაც იმდენი მნიშვნელობა არ მიეცემა, მაგრამ ეს ზომები, მოძრაობის მსვლელობასთან ერთათ, გაიზრდება და ძალას მოიცემს, ისინი აუცილებელი საშვალებაა მთელის წარმოების წესის შესაცვლელათ.

რასაკვირველია ეს ზომები სხვა და სხვა ქვეყანაში სხვა და სხვა ნაირი იქნება.

ყველაზე უფრო განათლებულ ქვეყნებში თითქმის ყველგან შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგი ზომები:

1) ადგილ-მამულების ექსპროპრიაცია და საადგილ-მამულო რენტის გადიდება სახელმწიფოს ხარჯის დასაფარავათ;

2) შემოსავალის კვალობაზე მაღალი პროგრესიული გადასახადი;

3) მემკვიდრეობის გაუქმება;

4) ყველა ემიგრანტთა და მეამბოხეთა ქონების კონფისკაცია;

5) კრედიტის სახელმწიფოს ხელში მოგროვება, სახელმწიფო კაპიტალისაგან შემდგარ საერო ბანკისა და სრულის მონოპოლიის საშუალებით;

6) გადასატან-გადმოსატან საშვალებათა სახელმწიფოს ხელში მოგროვება;

7) სახელმწიფო ფაბრიკებისა და წარმოების იარაღების გამრავლება; მინდვრების დამუშავება და გაუმჯობესება საერთო პლანით;

8) ყველასათვის ერთნაირათ სავალდებულო შრომა; შრომის არმიის დაარსება, განსაკუთრებით მიწის დამუშავებაში;

9) სამიწადმოქმედო შრომის შეერთება საფაბრიკოსთან; თანდათანობითი აღმოფხვრა განსხვავებისა სოფელსა და ქალაქს შორის;

10) საზოგადო, უფასო აღზრდა ყველა ბავშვებისა; ბავშვების შრომის არსებულ სახის მოსპობა; აღზრდის შეერთება ნივთიერ წარმომბასთან და სხ.

როცა, დროთა განმავლობაში, მოისპობა კლასთა სხვადასხვაობა და მთელი წარმოება ასოციაციების ხელში მოიყრის თავს, საზოგადო უფლება დაჰკარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს. პოლიტიკური ძალა, ამ სიტყვის საკუთარის მნიშვნელობით, ნიშნავს ერთის კლასის შეერთებულ ძალას, რომელსაც მეორე კლასის დამორჩილება აქვს მიზნათ. თუ პროლეტარიატი, ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს, ერთ კლასიურ სხეულს იბამს, რევოლიუციის საშვალებით იძენს ბატონობის უფლებას, და, როგორც გაბატონებული კლასი, ძალით სპობს წარმოების ძველ პირობებს, აშკარაა, ამით ის სპობს აგრეთვე კლასთა შორის არსებულ წინააღმდეგობის პირობებს, სპობს საზოგადოთ კლასებს და ამასთან თავის საკუთარ კლასიურ ბატონობასაც. ძველ ბურჟუაზიულ საზოგადოებისა, მისის კლასებისა და მათ შორის არსებულ განხეთქილების ადგილს დაიჭერს ასოციაცია, რომელიც ასეთ სიტყვებს დაწერს თავის დროშაზე: „თვითეულ ადამიანის თავისუფალი განვითარება საფუძველია მთელის კაცობრიობის თავისუფალ განვითარებისო.“

ინგლისის და საფრანგეთის არისტოკრატიის ისტორიული მოწოდება გამოიხატა პამფლეტების წერაში თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ. ივლისის რევოლიუციით საფრანგეთში (1830 წ.) და პარლამენტის საარჩევნო უფლების გასაფართოვებელი მოძრაობით ინგლისში ის კიდევ ერთხელ დაამარცხა ამ მისგან შეძულებულმა მატრაკვეცამ. ცხის შემდეგ სერიოზული პოლიტიკური ბრძოლა აღარ შეიძლებოდა. დარჩა მხოლოთ ლიტერატურული ბრძოლა, მარა ლიტერატურაშიაც რესტოვრაციის ენით ლაპარაკი შეუძლებელი გახდა. თანაგრძნობის მოსაპოვებლათ არისტოკრატიას უნდა მოეჩვენებია' ვითომ ის თავის საკუთარი ინტერესებისათვის არ ზოუნავს! არა, ის ადგენს საბრალდებლო აქმს ბურჟუაზიის წინააღმდეგ მხოლოთ გაყვლეფილი მუშა-ხალხის დასაცავათ. და ასე, იგი სიამოვნებით შეუდგა თავის ახალ ბატონზე პასკვილების თხზვას და ცოტათ თუ ბევრათ საშიშარი წინასწარმეტყველების მისთვის წაჩურჩულებას.

ასე წარმოიშვა ფეოდალური სოციალიზმი. ის შეიცავს ცოტაოდენ ჩივილს, ცოტა პასკვილს, ცოტა წასულის მოგონებას, ცოტას მომავლის მუქარას, და ხან და ხან კიდევაც მარჯვეთ სცემს ბურჟუაზიას თავისი მახვილით და მწვავე მსჯელობით. მაგრამ ყოველივე ეს ყოველთვის კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი უნიჭობით, რომელიც უშლის შეიგნოს ახალი ისტორიის მსვლელობა.

არისტოკრატიამ პროლეტართა ცალიერი ჯიბე დროშათ ააფრიალა თავის გარშემო ხალხის შემოსაკრებათ, მაგრამ, როგორც კი ხალხი მას გაყვა, მაშინვე მის ზურგზე ძველი ფეოდალური ღერბები შეამჩნია და მოურიდებელი ხარხარით მოკურცხლა.

ფრანგთა ლეგიტიმისტების ერთმა ნაწილმა და ,,ახალგაზდა ინგლისმა'' ეს კომედია საუკეთესოთ ითამაშეს.

როცა ფეოდალები ამტკიცებენ, რომ გაყვლეფის მათი წესები სხვანაირი იყო, ვინემ თანამედროვე ბურჟუაზიული გაყვლეფა, ცხადია, ივიწყებენ იმას, რომ ისინი ყვლეფდენ სრულიად სხვა, ახლა არ-არსებულ, პირობებისა და გარემოებაში. როცა ისინი ამტკიცებენ, რომ მათი ბატონობის დროს თანამედროვე პროლეტარიატი არც კი არსებობდა, ივიწყებენ, რომ მათი საზოგადო წყობილების აუცილებელი ნაყოფი სწორეთ თანამედროვე ბურჟუაზია იყო.

ისინი ბურჟუაზიას აბრალებენ უფრო იმას, რომ მან შექმნა რევოლიუციური პროლეტარიატი, ვინემ იმას, რომ მან შექმნა საზოგადოთ პროლეტარიატი.

ამიტომ ისინი თავისი პოლიტიკური პრაქტიკით მონაწილეობას იღებენ ყოველნაირ ძალმომრეობაში, რომელიც კი მუშა ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული. ყოველ-დღიურ ცხოვრებაში ისინი, წინააღმდეგ თავისი ლამაზი სიტყვებისა, არ უშვებენ ჯიბის გატენის შემთხვევას და სარგებლით ცვლიან თავის „ერთგულებას“ „სიყვარულს„, «პატიოსნებას, და სხვ. მატყლზე, ჭარხალზე და არაყზე.

როგორც ხუცესი მუდამ მხარში ედგა ფეოდალს, ისე ხუცური სოციალიზმი არ შორდება ფეოდალურს.

არა არის რა იმაზე უცვოდილესი, რომ ქრისტიანულ განდეგილობას თავს მოახვიო სოციალური ელფერი. განა ქრისტიანობა არ ჯანყდებოდა კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წინააღმდეგ? განა ის არ ქადაგებდა ქველმოქმედებას და სილარიბეს. უბიწობასა და ხორცის მოუძლურებასა, ბერათ აკვეთას და სხვ. ? ქრისტიანული სოციალიზმია ის წმინდა წყალი, რომლითაც ხუცესი არისტოკრატთა გაჭირვებას აპკურებს.

(შემდეგი იქნება).

ერთხელ კიდევ ბ. თ. სახოკიასა და K°-ს შესახებ.

სამედიატორო სამართალი ჩემსა და ბ. თ. სახოკიას შორის, დანიშნული 6 ამ თვისათვის დაიშალა. მკითხველი სახოგადოებისათვის მეტათ საინტერესოა მიზეზები მისი ჩაფუშვისა. ჯერ კიდევ თვიდან ბრალდების პუნქტების გამორკვევამ ბევრი დრო წაიღო, დიდი უთანხმოება გამოიწვია ჩემსა და ბ. სახოკიას შორის. ის ამბობდა: ვითომც მე 26 მაისს, ბათუმში მომხდარ კრებაზე მისთვის დამებრალებიოს, რომ უთანხმოება გურულ-მეგრელ მუშათა შორის „სახოკიამ დაბადა და გამოიწვიაო“. მე კი ნამდვილათ მას ვაბრალებდი, მან ფოთში ბიუროკრატიის და ,,პოდრიაჩიკების“ მიერ გამოწვეულ უთანხმოებას ხელი შეუწყო, გააძლიერა შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, თავისი ჩარევით მეთქი“. ბოლოს, როგორც იქმნა, დაისვა საქმის გამოსარკვევათ ოთხი კითხვა: 1) ვთქვი თუ არა მე ბათუმში ის, რასაც ბ. სახოკია მაწერს; 2): თქვა თუ არა ბ. სახოკიამ, ფოთი უფლებით მეგრელებს ეკუთვნისო; 3) თქვა თუ არა მანვე რომ არსებობს მეგრელთა და გურულთა საკითხი და ინტერესებიო და 4) უთხრა თუ არა მან (სახოკიამ) უსაქმოთ დარჩენილ მუშებს, ძალიან მოკითმენიათ ამდენ ხანს ასეთი მდგომარეობაო. საინტერესოა გავიცნათ, თუ რა ხერხი იხმარა ბ. სახოკიამ ჩემს დასამრცხვებლათ იმ თავითვე. მკითხველს ეცოდინება უთუოთ, რომ სტუდენტმა კაპიტონ მეუნარგიამ და ოცდა ათმა მუშამ რწმუნებულმა *) (სამასი მუშის სახელით) სამედიატორო სამართალში გამომწვიეს; მეგონა, რომ უველა ამ საქმეს მედიატორენი ერთათ კარჩეველდენ, მაგრამ ფოთში ჩავედი თუ არა, არც სტუდენტი მეუნარგია გამოცხადდა, რომელიც ჩემი მოწინააღმდეგე და არც ის 30 რწმუნებული. სამაგიეროთ როგორც სტუდენტი მეუნარგია, ისე ზოგი რწმუნებულთაგანი გამობრძანდენ სახოკიას მოწმეებათ. სამი მხარე ერთი და იმავე მიზნით დაინტერესებულნი, სამედიატორო სამართალში მიწვეულნი, მაგრამ საქმის გარჩევის დღეს მხოლოთ ერთი მათგანი და დამრჩა ხელში, და რომ ის არ დამარცხებულიეო, ორმა დანარჩენმა მხარემ (სტუდენტი მეუნარგია და რწმუნებულები) მოწმეებათ დაგვიმა მოიწვიეს. ბ. სახოკია დაჟინებით თხოულობდა იმათ მოწმობას, მაგრამ მედიატორებმა ჩემი სამართალიანი მოთხოვნით, ისინი გადაუყენეს. მოგვეცა ორივე მხარეს უფლება მხოლოთ ათ-ათი მოწმისა. ბირველი კითხვის შესახებ სახოკიას ორმა მოწმემ, დაამოწმა ჩემი სიტყვები. შემდეგ დაეკითხენ სხვა მის მოწმეებს. საინტერესოა მათი ჩვენებაც. მრავალი წინააღმდეგობა და არევ-დარევა გამოდიოდა მათ ჩვენებაში. ერთმა მათგანმა თქვა: ,,ფოთელი მუშა თუ ფოთში ვერ იშოვის სამუშაოს სად უნდა წავიდესო“; მეორემ თქვა: ,,თუ აქ სამშობლოში ვერ იშოვიან სამუშაოს სად უნდა წავიდენო“; მესამემ—,,რატომ ერთი მეგრელი მუშა არ უნდა მუშაობდეს ამდენ სამუშაოზეო“. მეოთხემ—მადლობელი ვარ რომ ამდენი მოგითმენიათ, არ შეტაკებიხართ გურულებს და საქართველო არ შეგირცხვენიათო“. დაიწყო ჩემი მოწმეების გამოკითხვა. ბირველმა მოწამემ ბ. დუკა დავითაიამ სუფხოეთ დაბადებულმა ორი-სამი ავტონომისტის როლი ამ უთანხმოებაში. სახოკიას შესახებ სავსებით დამტკიცა ჩემი ნათქვამი, გარდა მეოთხე პუნქტისა, რომლის მოწამემ ის არც უოფილა. მეტის-მეტათ კაბრაზა დავითაიას ჩვენებამ მოწინააღმდეგენი, მაგრამ თავი მაინც შეიმაგრეს. გამოვიდა მეორე მოწამე ბ. ალექსანდრე ფაჩულია, რომელმაც თქვა: ,,სახოკიამ მიმართა კრებას, სადაც მარტო უადგილო მუშები იუვენ და უთხრა: ,,ციდან ჩამოფრენილი მტრედები უოფილხართ, რომ არ შეტაკებიხართ გურულებს, სისხლი არ დაგიღვრიათ და ამდენი მოგითმენიათო“. შემდეგ კაკაჩრძელა მოწამემ დავარაკი, მაგრამ არ კასუდა ერთი წუთი, რომ მას მეტის-მეტი მდუღვარება დაეტეო და დამშვიდებით ვეღარ დაბარაკობდა. მიზეზი რა იუო ამისი ვერ გავგეგო, მარა მივიხედე გვლებული ფანჯრისაკენ თუ არა, აღერილ მუშტებს მოვკარი თვალი, რომლითაც მოწამეს ემუქრებოდენ. ამაზე ბროტესტი განვაცხადე თავმჯდომარის წინაშე და უთხარი: ამ ბირობებში მოწამეს არ შეუძლია თქვას სიმართლე, ეს უსინდისობაა, ეს ,,ხულიგანობაა“-მეთქი. ერთი წუთით მაიუჩა თავმჯდომარემ ისინი, და ის იუო მოწ მეს უნდა განეგრძო, რომ ისევ იმავე ფანჯრიდან შიშველმა რევოლვერმა გამოანათა და ხანჯალმაც იელვა. თავმჯდომარე და მედიატორენი შეეცადენ იმათ გაჩერებას, მაგრამ მოისმა დრიალი: „გაგვიშვით, გაგვიშვით მაგ... სკუნ (ფაჩულიასკენ). მაკან დაგვდუპაო“... ამის გამო შეიქმნა უგირიადი და წაიღე-კიღეი, ხალხი დაფრთხა. ერთ წუთში დარბაზი თითქმის დაცალიერდა. მოწამე ფაჩულია, როგორც იქნა გაეპარეს, მაგრამ მოწამე ბ. დავითაია კი თავ-ბირ დამტვრეული, სისხლით შეღებილი, ძლივს გამოართვა ხელიდან „ხულიგანებს“ **) თვით ბ. სახოკიამ. ამით გათავდა სამედიატორო სამართალი. ვინ იუვნენ ეს ხულიგანები, რა უნდოდათ მათ? რათ იცავდენ ასეთი სამართლიანი საშვალებით. ბ. სახოკიას? აი კითხვა ამაშია და ამ კითხვის გადაწუვეტა მიგვინდვია თვით საზოგადოებისათვის.

*) სხვათა შორის საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ათ მოწამეში სამმა თქვა სასამართლოს წინაშე, რომ ჩვენ არც გამოგვიწვევია ჩხიკვიშვილი სამართალში და არც ვისმესთვის დაგვივალებიაო; მეოთხემ თქვა: 40—50 კაცი ვიყავით კრებაზე და ჩვენ დავავალეთო.

**) ხალხი და ნამდვილი გეშმარიტი მუშები მეგრელი იყო ის, გურული, თუ იმერელი ყველანი შეწუხდენ ამ უმსგავსო საქციელით, ყველა ცდილობდა ხულიგანების გაჩერებას და უბედურების თავიდან აცილებას. ეს „ხულიგანები“ ექვსი-შვიდი თუ იქნებოდა მეტი არა და იმათში შესანიშნავ როლს თამაშობდენ ქალაქის „სტრაჟნიკები“ რომელთაგან ერთი ვგონებ მოწმეც იყო ბ. სახოკიასი.

ვხლა მივმართავ ბ. „სიტყვას“ და შევეკითხები: ვინაა ყოვლათ სახიზღარი ცილის მწამებელი, მე თუ ის? ბ-ნო „სიტყვა“ მე თუ არ დამიჯერებ რაშია საქმე, დაკვირდი ბ-ნ სამსონ ფირცხალავას რომელიც ერთი მეღვინეთაგანი იყო ბ. ფ. სახოკიასი. ბ. ფირცხალავამ არ უნდა უღალატოს უბრალო ზნეობის კანონს და გეტყვის თქვენ მართალს, რადგან ის თვითონ მოწამე იყო, იმისა რასაც მკითხველს მოვუთხრობ, მოწამე იყო იმ საზიზღრობისა, რომელიც „ხულიგანებმა“ ჩაიდინეს თქვენს ბატონყმეთათ.

დასასრულ ვთხოვ თავმჯდომარეს და ჩემს მედიატორებს გამოსთქვან თავიანთი აზრი „მოგზაურის“ მომავალ №-ში და გამოაქვეყნონ ჩემი მოწმეების ჩვენება.

ბენია ჩხეიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

უმორჩილესათ გთხოვთ შემაძლებინოთ გამოვაცხადო შემდეგი. გაზ. „ცნობის ფურცლის“ თებერვლის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი იყო ქალაქ მუკდენიდან დეპეშა ბ-ნი ვლად. თავართქილაძისა, რომელიც უგზავნიდა ათასს მანათს ავათმყოფს მგოსანს ბ-ნს აკაკი წერეთელს. შემომწირველთა შორის ნაჩვენები იყო ბ. ვარდენ ჩხაიძე. დავბრუნდი რა ამ ათი დღის წინათ შორეულ აღმოსავლეთიდან, გავიგე რომ ამ დეპეშას არა სასურველი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია ჩემის ძმის ვარდენ მაქსიმესძის ჩხაიძის აზრების მოწინააღმდეგეთა შორის. ზოგი ამხანაგებიც შეცდომაში შეყავს ამ დეპეშას. როგორც კანონიერი მემკვიდრე მწარე უღელ-ქვეშ გატარებული ძმის სახელის და პატიოსნებისა მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო შემდეგი: ჩემს ძმას ამ შემოწირულებასთან და დეპეშასთან არავითარი კავშირი არ ჰქონებია და დეპეშის არსებობაც არ შეეძლო სცოდნოდა მისგან დამოუკიდებელ ცნობილ „გარემოებათა“ გამო. შემომწირველი გახლავთ სოფ. აცანას მცხოვრები ბ. ვარდენ ლევანის ძე ჩხაიძე, რომელსაც მე პირადათ ვიცნობ და არა ჩემი ძმა.

კვიროსი მაქსიმესძე **ჩხაიძე**.

სადგ. სუფსა.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ წერილს ადგილი მისცეთ.

წარსულ ივლისში მე ამომამრჩიეს სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარეთ. ჩემს გარდა, მედიატორებათ აირჩიეს ოთხი კაცი. სასამართლოს უნდა გაერჩია ქ. ფოთში ბბ. სახოკიას და ჩხიკვიშვილის საქმე, გურულ და მეგრელ მუშათა უთანხმოებით გამოწვეული. საქმის გარჩევა დაიწყო 6 აგვისტოს. გარჩევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ორ პარტიათ იყო დაყოფილი: ერთი ბ. სახოკიას უჭერდა მხარს და მეორე —ბ. ჩხიკვიშვილს. თანდათან ამ ორ პარტიათა ურთიერთობა გამწვავდა, და, როდესაც სასამართლო ბ. ჩხიკვიშვილის მოწმის შეკითხვას შეუდგა, გარედან გაისმა ყვირილი და მუქარა ამ მოწმის მიმართ. შემდეგ ხალხი ფანჯრებიდან ოთახში შემოვარდა და ყველაფერი აირ-დაირია. ამ არეულობის დროს ბ-ნ ჩხიკვიშვილის მეორე მოწმეს შეურაცხყოფა მიაყენეს მოქმედებით. სასამართლომ ჯერ შესწყვიტა და შემდეგ დახურა სხდომა.

ამ რიგათ სამედიატორო სასამართლომ, მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ვერ დაამთავრა ის საქმე, რომელიც მას მინდობილი ჰქონდა.

ზემოხსენებულ გარემოების გამო, მე შეუძლებლათ ვსთვლი ჩემდათავათ მონაწილეობა მივიღო სამედიატორო სასამართლოში და ამიტომ, ვიხდი-რა ბოდიშს ბ.ბ. სახოკიასა და ჩხიკვიშვილის წინაწე, უარს ვაცხადებ თავმჯდომარეობაზე.

უმორჩილესად ვთხოვ „ცნობის ფურცლისა“ და „მოგზაურის“ რედაქციებს ეს ჩემი წერილი გადაბეჭდონ.

ნაფიცი ვექილი ვასილ ალექსანდრეს ძე **დემიდოვი**.

10 აგვისტო 1905 წ.

1) ჩვენ თფილისის მოვაჭრეები ბოიკოტს, ვუცხადებთ ძმათა შადინოვების სარძევეებს (მოდონ.).

შადინოვებმა ყოველათ უმიზეზოთ, გაფიცვისათვის დაბრალებულ სამი ნოქართაგანი და მათ არც ხელფრი ფულის მისცეს.

მოუწოდებთ უველა ბატიოსან მოქალაქეებს რათა შეწყვიტონ შადინოვებთან ყოველგვარი კავშირი და ვაჭრობა ბოიკოტის ახსნამდის.

ბოიკოტს ავხსნით იმ შემთხვევაში თუ უკან მიიღებენ დათხოვნილ ნოქრებს, და მათ ხელფრ ფულსაც მისცემენ.

ამასთანავე სამარცხვინო ბოძზე ვკრავთ ძმათა შადინოვების ნოქარს ნიკო ხორგუაშვილს, რომელიც ყოველგვარ სიზიზღარ დონის-ძიებას ხმარობს დათხოვნილი ნოქრების სწორიანდმდეგოთ, და ხაზეინის გულის მოსაგებათ.

2) ამასთანავე თფილისის ვაჭრები ბოიკოტს ვუცხადებთ და სამარცხვინო ბოძზე ვკრავთ, ,,ფუნიკულერზე'' რესტორან ,,განდეგილის'' და სასტუმრო ,,ბერლინის'' პატრონს ეფრემ იგივე დიმიტრი იესეს ძე ხუნდაძეს, რომელიც ყოველათ უპატიოსნოთ მოექცა თავის ამხანაგს ა. კალანდაძეს. მოუწოდებთ პატიოსან მოქალაქეებს ბოიკოტის ახსნამდე შეწყვიტონ მასთან ყოველგვარი კავშირი. უმორჩილესათ ვთხოვთ, სხვა ქართულ და რუსულ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ცნობა თავის გამოცემაში.

ხელს აწერენ,

1. ვასილი მახარაძე, 2. ისმაილ მგალობლიშვილი, 3. მეფარიშვილი ექვთიმე, 4. რევიშვილი ხაფთასი, 5. ილია კვინიხიძე, 6. ბესარიონ ვაშაკიძე, 7. დავით მეგრელიშვილი, 8, პეტრე კუჟიძე, 9. ბაგრატ თაროზოვი, 10. ვლადიმერ ყიფიანი, 11. ვლადიმერ ბესარიონის ძე, აბდუშელიშვილი, 12. იოსებ მაჭაკარია, 13. გრიგოლ სიდოელი, 14. კოსტა გორდელაძე, 15. პავლე გორდელაძე, 16. იოსებ სტეფანოვი, 17. გრიგოლ არ. დავიდოვი, 18. ზ. თოიძე, 19. ო. ცინცაძე, 20. ბაბაჯანოვი, 21. თედორე გარდალეიშვილი, 22. ვასილი ხუმარაძე, 23. შაქრო მუკნიაშვილი, 24. უთარიძე ნიკოლაი, 25. ნესესაშვილი, 16. ელიზბარ სულაღოვი, 27. გიორგი სუმბათოვი, 28. ვიკტორ ხუნდაძე, 29. სანდრო მოხევიშვილი, 30. *Միքայէլ Սահակեանց.* 31. ალექსი კალაბეგოვი, 32. *Կոլա Ալիքսեփանց.* 33. პავლე მაისურაძე, 34. ნიკოლოზ სულხანიშვილი, 35: სიმონ აბლაძე, 36. დიანოზ გვანცელაძე, 37. გიორგი იმედოვ, 38. ე. სარაძე, 39. Давидъ Гамзоевъ, 40. კ. გოქაძე, 41. ი. გოცირიძე, 42. ყოჩიევი, 43. ი. კარსელაძე, 44. პლატონ სიტყვიანიძე, 45. კოლა ცგურიშვილი, 46. ვასილი კინწურაშვილი, 47. პალნისი წამაძე, 48. პროკოფი მილორავა, 49, არტაშ. მირზოევი, 50. ბესო ჯაფარიძე, 51. ექ. რაქდენ ყიფიანი, 52. პოლიკარპე კაციტაძე, 53. ბაგრატ მელაშვილი, 54. არსენ ძიძიგური, 55. გიორგი სამთელაძე, 56. საფაროვ ფილიპე, 57. სვანიძე, 58. მიხაილ გუგაძე, 59. ჭაიხისრო ყურაშვილი, 60. გიორგი გამრეკლიძე, 61. სედრაკ არუთინოვი, 62. გიორგი კარკაძე, 63. გიორგი ჩიქოვანი, 64. იაგორ აკოფოვ, 65. შაქარ მალინოვი, 66. ტიგრან ყალამჭაროვ, 67. დათიკო ფერაძე, 68. არშაკ მამულოვი, 69. შაქრო პეტუზოვი, 70, Е. Арутиновъ, 71. გ. ს. გივიშვილი, 72. ბესარიონ ვაჩისბერაძე, 73. ექვთიმე ჟორჟოლია, 74. ვანო ბუაძე, 75. არტემ შახმურადოვი, 76, კოლა ვართანოვი, 77. ოთარ დოქიძე, 78. ვასილი აგიაძე, 79. (ვერ გავარჩიეთ) 80. ელისბარაშვილი, 81. გრიქურ მარქოზოვი, 82. ივანე აკოფოვი, 83. გიორგი შალიკაშვილი, 84. ალექსი გურალიძე.

რედ.-კომპტ. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 13-го Августа 1905 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.